პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

მეხუთე წელიწადი

# კომუნისტი

საქართ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტის
და სრულიად საქართველოს მუშათა,
გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცენტრ. აღმასკომის
ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი
№ 24, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე
გარდა კვირა-უქმეებისა 10—11 ს.
ტელეფონები (რედაქტორის 14—76
(მდივანის 10—58

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი 24
მეორე სართული, ტელეფონი 10—49.
ხელისმომწერის ფასი: მუშა-მოსამს. 75 კ., დანარჩენებისათვის: ქალაქში 1 მ. ქალაქს გარეშე—1 მ. 20 კ., ხელისმომწერნი მიიღებენ „ჩირაღდანს" და „მეცნიერება და ტეხნიკას". განცხადებები: ნომპარელის სტრიქონი—20 კ., აწყობა ციფრებით—25 კ. სამგლოვიარო—5 მან. დოკუმენტების დაკარგვა 50 კ. განცხად. მიიღება 3 ს.
ექსპედიციის ტელეფ. 5—43, სტამბის ტელეფონი 13—80.

სამშაბათი, 20 იანვარი 1925 წ.
ყოველდღიური გაზეთი
ფასი 5 კ. № 16 (1171)

ს. ს. ს. რ. სახ. კომისართა საბჭოს
საინფორმ. ცნო-განყოფილების
კომპლექტი

## დღიური

— ამერიკა არ იწვევს კონფერენციას განიარაღ[illegible]
— საფრანგეთში გააუქმეს კანონი პატიმრები[illegible] შესახებ ჩრდილოეთ აფრიკაში.
— შანხაიში უცხოელებმა დესანტი გადმოსხეს.
— პოლონეთ-დანციგის კონფლიქტს ერთა ლიგა იხილავს.
— საფრანგეთ-გერმანიის მოლაპარაკება არავითარ შედეგს არ იძლევა.

## ხმა სოფლიდან

მეტად საყურადღებოა კორესპონდენცია გორის მაზრის სოფელ სასირეთიდან, რომელსაც დღეს ვათავსებთ.

მკითხველი აგრეთვე გაეცნობა მიწად-მოქმედების კომისარიატის განმარტებას ამ კორესპონდენციის გამო. კომისარიატის წარმომადგენელი, თავის თავად გასაგებია, უდგება საკითხს სპეციალური თვალსაზრისით. ჩვენთვის კი მას აქვს, გარდა ამისა, უმთავრესად პოლიტიკურ-საზოგადოებრივი მნიშვნელობა.

სოფლის მოსახლეობა დანაწილებულია ნივთიერად. ღარიბ და შუათანა გლეხობასთან ერთად არის შეძლებული, კულაკური ელემენტი. სოფლად სწარმოებს აშკარა კლასობრივი ბრძოლა. ბობოლა გლეხები, კულაკები ცდილობენ დაიმორჩილონ დანარჩენი მოსახლეობა.

რა ზომებს მიმართავენ ისინი ამისათვის? თავის თავად ეკონომიური სიძლიერე ბასრი იარაღია მათ ხელში, რომ ღარიბი მეზობლები თავის გავლენის ქვეშ მოაქციონ. ფულის, სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის სესხებით თუ სხვა გზით ღარიბი გლეხები ვარდებიან სოფლის შეძლებულ ჯგუფების ეკონომიურ მონობაში.

ამის წინააღმდეგ მუშურ-გლეხური მთავრობა იღებს მთელ რიგ ღონისძიებებს. კოოპერაცია, საკრედიტო ამხანაგობა, გლეხთა კომიტეტები, და სხ. ემსახურებიან მშრომელი გლეხობის განთავისუფლებას კულაკების ბრჭყალებიდან და მის საკუთარ ფეხზე დადგომას, მისი ნივთიერი კეთილდღეობის აწევას.

მაგრამ ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ სოფლის ბურჟუაზია უფრო შორს მიდის, ის არ კმაყოფილდება „კანონიერი" გზით თავისი ეკონომიური გაძლიერებით. სოფლის კულაკები ეპოტინებიან ძალა-უფლებისაკენ. ამის მიღწევას ისინი ცდილობენ ორნაირი საშუალებით—ან საბჭოებში, ხელისუფლების და საზოგადოებრივ ორგანოებში თავისი კაცების შეპარებით, ან ხელისუფლების ადგილობრივ წარმომადგენელთა მიმხრობით, მათთან „ძმა - ბიჭური" დამოკიდებულების დამყარებით, ამ გზით მათი თავის გავლენის ქვეშ მოქცევით.

ხსენებულ კორესპოდენციაში ჩვენ გვაქვს საქმე მეორე შემთხვევასთან. სოფლის არჩეული ხუთი კაცი, საბჭოს თუ მიწის კომისიის წევრნი იმის ნაცვლად, რომ ემსახურონ მშრომელ გლეხობის ინტერესებს, არსებული კანონების მიხედვით მოაწესრიგონ საადგილმამულო ურთიერთობანი სოფლად—აკეთებენ კულაკების საქმეს. ეს უკანასკნელნი ეპატიჟებიან მათ, ათრობენ, შემდეგ კი „ათამაშებენ თავიანთ დუდუკზე".—მიწებს ართმევენ ღარიბთ და სთავაზობენ იმათ ვინც პურ-მარილი აგემა ამ „მუცლისტებს", როგორც მათ უწოდებს კორესპონდენტი. როგორც სჩანს, ამ შემთხვევაში ხელისუფლების წარმომადგენლები სავსებით ჩავარდნილან კულაკების ტყვეობაში.

ადვილად წარმოსადგენია, თუ რა შთაბეჭდილებას ახდენს გლეხობაზე ასეთი არამზადები თავისი უმსგავსო, აშკარად კონტრ-რევოლიუციონური მოქმედებით.

ამ პირებს დაშინებული ჰყოლიათ მთელი სოფელი. თუ იქ ჩამოვა მთავრობის წარმომადგენელი, წინასწარ იღებენ ზომებს, რათა არავინ გაბედოს თავისი ჭირ-ვარამი შესჩივლოს მას.

ამნაირად, ახშობენ ხალხის სურვილებს, მუშურ-გლეხურ მთავრობას სახელს უტეხენ, გლეხობას აშორებენ მას, იწვევენ მშრომელ მასაში უკმაყოფილებას.

დამოუკიდებლათ იმისა, თუ რამდენათ სწორია კორესპონდენტის მიერ მოყვანილი ფაქტები (რასაც სპეციალური კომისია გამოარკვევს), ჩვენ ასეთი მოვლენა დღეს-დღეობით შესაძლებლათ მიგვაჩნია აქა-იქ.

ამიტომ გვინდა ყურადღება მივაქციოთ იმ გარემოებზე, რომ დღეს, როცა სოფლად მუშაობის საკითხი პრაქტიკულად დგას ჩვენს წინაშე, როცა საბჭოთა აპარატი უნდა დაუახლოვდეს ხალხს,—უმთავრესი მნიშვნელობა ენიჭება სოფლად საბჭოთა კანონიერების განმტკიცებას, ყოველგვარი თვითნებობის, მექრთამეობის, ბიუროკრატიზმის აღმოფხვრას. ყველაფერ ამაში უეჭველად დიდი წილი უდევს კულაკობას, რომლის გავლენის მოსასპობად უნდა იქნეს მიღებული გადაჭრილი ზომები. აქვე დგას საკითხი სოფლის აპარატის გაჯანსაღების, სოფლის ორგანოებში მტკიცე, გლეხობის ინტერესების ნამდვილ დამცველების გაყვანის. მომავალ საბჭოთა არჩევნებმა ამ მხრივ უნდა შეასრულონ უდიდესი როლი.

## საფრანგეთის მენშევიკები—ვერსალის ხელშეკრულების დამცველები

საფრანგეთის მენშევიკებმა (ისევე, როგორც სხვა ქვეყნების სოციალისტებმა) უკვე დიდი ხანია რაც დაჰკარგეს დამოუკიდებელი პოლიტიკის წარმოების უნარი და სურვილი. ბურჟუაზიასთან და მის მთავრობასთან თანამშრომლობა, რომელიც მათ ჩვეულებრივზე უფრო დიდი ენერგიით ომის დროს გაატარეს ცხოვრებაში, ეს თანამშრომლობა გადაიტანეს ამ ომის შემდეგ ხანაშიც. უკანასკნელი საპარლამენტო არჩევნების შემდეგ კი ისეთი მდგომარეობა შეიქნა, რომ ერრიოს მთავრობა ოცდა ოთხ საათში დაეცემოდა სოციალისტების დაუხმარებლათ. მხოლოდ ამ უკანასკნელების მიერ ზურგ გამაგრებულს შეუძლია მას მართოს დღეს საფრანგეთის ბურჟუაზიის საქმეები. როგორც საშინაო ისე საგარეო პოლიტიკის საკითხების გადაწყვეტაში „რადიკალ-სოციალისტები და მენშევიკური სოციალ-დემოკრატია ერთსულოვანი არიან. საგარეო პოლიტიკის სფეროში სრული თანხმობაა მათ შორის. უმთავრესია აქ გერმანიასთან დამოკიდებულება. სოციალისტებმა დაადასტურეს ლონდონის შეთანხმება გერმანიის შესახებ, მიიღეს დოუესის გეგმა ამ ქვეყნის (ე. ი. მისი მშრომელი ხალხის) კიდევ უფრო გასატყავებლათ, ხმა მისცეს რურის საოკუპაციო კრედიტებს. ხოლო სულ უკანასკნელ ხანებში მათი დასტურით და დახმარებით სთქვა უარი საფრანგეთმა ეგრედ წოდებულ კიოლნის ზონის დაცლაზე.

ჩვენ არას ვიტყვით აქ ერრიოს საშინაო პოლიტიკის ხელ-აღებით მიღებაზე მათ მიერ, რაც გამოიხატება რევოლიუციონურ მუშების, კომუნისტების დევნაში და ამ საქმისათვის საიდუმლო კრედიტებისათვის ხმის მიცემაში.

ამნაირათ სოციალისტები სავსებით ატარებენ ცხოვრებაში, ბურჟუაზიასთან ერთად, ვერსალის ზავის პირობებს და უკანასკნელი ნაბიჯი მათი ამ მიმართულებით არის, როგორც ვთქვით, კიოლნის ზონაში ჯარების დატოვებაზე უთანხმოების განცხადება.

რითი ასაბუთებს ერრიო-რენოდელის მთავრობა ამ ზომას? ოფიციალურათ იმით, რომ გერმანიას არა სურს განიარაღება, რაც მტკიცდება თითქოს ბერლინში საიდუმლო საწყობებში 45 ათასი ტყვიის მფრქვეველის აღმოჩენით.

ეს, რასაკვირველია, საფრანგეთის დაშინებული ბურჟუაზიისთვის და „სოციალისტებისთვის", რომლებიც სარევანშო ომის მოლოდინში არიან მომავალში, საკმაო სერიოზული არგუმენტია და მით უფრო ისარგებლებდნენ როგორც რადიკალ-სოციალისტები, ისე მენშევიკები იმ შემთხვევაშიც, თუ ეს ამბავი მოგონილი იქნებოდა, რაც ადვილათ შესაძლებელია. მაგრამ ინტერესს არ იქნება მოკლებული ჩვენ მკითხველებს გავაცნოთ, თუ რას სწერდა მეორე მხრით გაზეთი მატენი ამ „არგუმენტის" შესახებ.

**„ინგლისი რომ დარწმუნებულ იყოს იმაში, რომ გერმანია გვერდში ამოუდგებოდა მოკავშირეებს მათ ბრძოლაში აზიისა და საბჭოების (sovietisme) წინააღმდეგ—მას არ ექნებოდა იმის დარდი, დაამზადებდენ თუ არა ბერლინში რამოდენიმე ათას ტყვიის მფრქვეველით იმაზე მეტს, რაც გათვალისწინებულია ვერსალის ხელშეკრულებით"-ო** („მატენი", 20 დეკ. 1924 წ.)

ამ ამონაწერში საინტერესო აზრი „იმალება". თუ გერმანია შევა კაპიტალისტების „ინტერნაციონალში" კომუნიზმის წინააღმდეგ საბრძოლველათ, დეე ამზადოს მან იარაღი რამდენიც მას მოეპრიანება. ამ მიმართულებით მუშაობას (ე. ი. სხვა ქვეყნებს შორის გერმანიის ამხედრებას აზიისა და საბჭოების წინააღმდეგ) ხელს არ აკლებენ მოკავშირეთა მთავრობები და რამდენადაც კერძოთ საფრანგეთში მათი ზურგის გამმაგრებელი გამოდიან სოციალისტები—ისინიც მონაწილენი არიან იმ ახალი „სადვთო კავშირისა", რომლის მოწყობის ყელწყვეტაში არის დღეს ევროპის (და არა მარტო ევროპის) ბურჟუაზია.

რასაკვირველია რომელიმე რენოდელი გამოვა თავის ორგანიზაციის კრებაზე და იტყვის, რომ მისი პარტია წინააღმდეგია იარაღით ინტერვენციისა საბჭოთა კავშირის საქმეებში. წინააღმდეგის თქმა პოლიტიკოსის მიერ, რომელსაც მუშების ხმის მიღება სურს არჩევნების დროს—ძნელია, მაგრამ ძალათი დაბრმავებულების გარდა ყველამ იცის, რომ ეს მოღვაწეები შარლატანთა იმ ხროვის ტიპებია, რომლებიც საჯარო კრებაზე ლაპარაკობენ ასეთი ენით, ხოლო ფაქტიური მათი თანამშრომლობა ბურჟუაზიულ მთავრობასთან როგორც საგარეო, ისე საშინაო საქმეებში მიმართულია რევოლიუციონერებისა და რევოლიუციის წინააღმდეგ არსებული წესწყობილების დასაცავათ.

ვერსალის ყაჩაღობის დაცვამდი, რევოლიუციის და რევოლიუციონური მუშათა კლასის წინააღმდეგ ბრძოლამდი მიიყვანა საფრანგეთის მენშევიკები მუშათა კლასიურ მოძრაობისაგან მოწყვეტამ და ბარიკადების გადაღმა მოქცევამ ბურჟუაზიასთან ერთად.

# რადიო-დეპეშები

(„საქროსტა"-ს ცნობებით)

## „საქმიანი" მთავრობა გერმანიაში

ბერლინი. 17 იანვარი. ლიუტერის მთავრობა თვალმაქცურად გამოდის „საქმიანი კაბინეტის" ფირმის ქვეშ, მთავრობაში წარმოდგენილი პარტიები აცხადებენ, რომ ისინი ფრაქციულად არ არიან დაკავშირებულნი მთავრობასთან, მაგრამ მიუთითებენ იმაზე, რომ მთავრობის ესა თუ ის წევრი წარმოადგენს „კავშირს" მთავრობასა და პარტიის შორის. მთავრობის კრიზისის ამგვარად გადაჭრის მიზანი იყო გაეადვილებიათ ცენტრის პარტიისათვის ლიუტერის კაბინეტში მონაწილეობის საკითხის გადაჭრა. ცხადია, რომ ლიუტერის მთავრობა არ წარმოადგენს საქმიან კაბინეტს, რასაც სოციალ-დემოკრატების ლიდერმა ბრეიტშეიდმაც გაუსვა ხაზი „როსტა"-ს კორესპონდენტთან საუბრის დროს.

მთელი გერმანიის პრესა ერთხმად ხაზს უსვამს, რომ ლიუტერის მთავრობის შედგენით შეიძლება განხორციელებულად ჩაითვალოს ბურჟუაზიული ბლოკი. მემარცხენე პრესა უკმაყოფილოა, მაგრამ არ იჩენს მტრულ განწყობილებას მთავრობისადმი. სოციალ-დემოკრატიული გაზეთი „ფორვერტს" ახალი მთავრობის შედგენას სთვლის გერმანიის პოლიტიკის კურსის ძირითად შეცვლის ცდით.

მემარჯვენე პრესა კმაყოფილია მთავრობის კრიზისის დასრულებით და ახალი მთავრობის შედგენას უცქერის, როგორც ეტაპს სახელმწიფო ბურჟუაზიული მთავრობისაკენ.

ბერლინი, 19 იანვარი. კანცლერის სტატს-სეკრეტრად დანიშნულია კემპერი, პრესის საქმეთა სამმართველოს უფროსად—დოქტორი კიპი.

**ფინანსთა მინისტრი.**

ბერლინი, 19 იანვარი. გრაფ რედერნს სთვლიან ფინანსთა მინისტრის კანდიდატად.

რომი, 19 იანვარი. ბერლინიდან მიღებული ცნობით, ფრენკენი—კელნის უმაღლეს სასამართლოს თავმჯდომარე—დანიშნულია იუსტიციის მინისტრად.

ბერლინი, 19 იანვარი. გრძელდება კამათი საიმპერიო მთავრობაში ცარიელ პოსტების დაკავების საკითხის გარშემო. ლიუტერი მოითხოვს, რომ იუსტიციის მინისტრად დანიშნული იქნეს ცენტრის წარმომადგენელი, მას სასურველად მიაჩნია, რომ ფინანსთა სამინისტროს სათავეში იდგეს პოლიტიკური პიროვნება.

**ფაქტიური პრემიერი.**

ბერლინი, 19 იანვარი. „დეილი ტელეგრაფ"-ის კორესპოდენტი აცხადებს, რომ გერმანიის ახალი მთავრობა თავს იყრის შტრეზემანის გარშემო, რომელიც ყველაზე დიდ ფიგურას წარმოადგენს მთავრობაში და რომელმაც მომავალში ყველაზე თვალსაჩინო როლი უნდა ითამაშოს. კორესპოდენტი აღნიშნავს შტრეზემანის „ტაქტიკურ მოხერხებულობას" და ამტკიცებს, რომ უკანასკნელი შესძლებს წინანდელი მთავრობის პოლიტიკის გაგრძელებას.

ბერლინი, 19 იანვ. „ტაიმს"-ის ბერლინელი კორესპოდენტი სწერს, რომ შტრეზემანი სავსებით თავისუფლად მოქმედებს, ვინაიდან ნაციონალისტებმა სავსებით მოიწონეს წინანდელი მთავრობის საგარეო პოლიტიკა.

ბერლინი, 19 იანვ. გერმანიის ახალმა მთავრობამ დანიშნა სპეციალური კომისია, რომელმაც თვალყური უნდა ადევნოს სახელმწიფო ბანკის საკრედიტო ოპერაციებს, რათ არ განმეორდეს კუტისკერის საქმის მსგავსი სკანდალი.

## ლიუთერის მთავრობა და კომპარტია

**კომპარტია ახალ მთავრობის შესახებ**

ბერლინი. 18 იანვარი. გერმანიის რეიხსტაგის კომფრაქციამ გამოსცა განცხადება, რომელიც განსაზღვრავს კომპარტიის დამოკიდებულებას ლიუტერის ახალ მთავრობისადმი. განცხადებაში ნათქვამია: **„ფრაქცია ლიუტერის კაბინეტს სთვლის აშკარა მონარქიულ მთავრობათ, რომლის მიერ ძალა-უფლების აღება გამოიწვევს დაუნდობელ ბრძოლას მუშათა კლასთან.** ახალი მთავრობის შექმნა ნიშნავს სასტიკ რეპრესიებს კომუნისტური მოძრაობის წინააღმდეგ, 8 საათის სამუშაო დღის სრულ გაუქმებას, შრომის ხელფასის შემცირებას და ღარიბი მასების დაბეგვრას დიდი გადასახადებით. ბურჟუაზიას იმედი აქვს, რომ გადამწყვეტ მომენტში მას დაეხმარებიან სოციალ-დემოკრატიული ბელადები".

**პრუსიის კაბინეტი**

ბერლინი. 18 იანვარი. პრუსიის ლანდტაგში დაიწყო კამათი მთავრობის დეკლარაციის შესახებ. კომუნისტი ებერლეინი გამოვიდა სიტყვით, რომელშიაც დაასაბუთა კომფრაქციის წინადადება უნდობლობის გამოცხადების შესახებ ბრაუნის კაბინეტისათვის.

სახალხო პარტიის წევრი კამპე ამტკიცებდა ბრაუნის არა სრული კაბინეტის არსებობის უკანონობას. ბრაუნი ვრცელ სიტყვაში ეკამათებოდა კამპეს. კამპემ წამოაყენა წინადადება დასმული იქნეს საკითხი ნდობის შესახებ.

**მუშებს ვერ მოატყუებენ.**

ბერლინი, 18 იან. ლიუტერის კაბინეტმა მიიღო გადაწყვეტილება რომლის ძალით დომენის ღუმელებში პირველი აპრილიდან შემოღებული იქნება სამწყება მუშაობის სისტემა, არსებულ ორწყება სისტემის მაგივრათ.

ოფიციალური ცნობა ხაზს უსვამს ამ ღონისძიების სოციალ-პოლიტიკურ მნიშვნელობას. ნამდვილათ კი მთავრობის გადაწყვეტილებას დემონსტრაციის ხასიათი აქვს; ეს დემონსტრაცია მიმართულია ოპოზიციონური პარტიების წინააღმდეგ, რომლებიც აცხადებენ, რომ ახალი კაბინეტი რეაქციონურ გზას დაადგება.

ამ ღონისძიებას მიზნათ აქვს აგრეთვე უფრო შემარიგებელი განწყობილების შექმნა დემოკრატებსა და სოციალ-დემოკრატებს შორის და აგრეთვე ცენტრის მდგომარეობის გაუმჯობესება მუშა-ამომრჩევლების მიმართ.

**ახალი მთავრობის წინააღმდეგ.**

ნაუენი 19 იანვ. კომუნისტებს განზრახული აქვთ კვირას ბერლინში გამართონ მასიური დემონსტრაცია ახალი მთავრობის წინააღმდეგ და მოითხოვონ პოლიტიკური პატიმრების განთავისუფლება.

## სამოქალაქო ომი ჩინეთში

### უცხოეთის ჯარების გადმოსხმა

ბერლინი. 19 იანვარი. ლონდონიდან მიღებული ცნობით, შანხაიში გადმოსხეს 350 კაცისაგან შემდგარი რაზმი, რომელშიაც შედიან ამერიკის, ინგლისის, საფრანგეთის, იტალიის და იაპონიის მეზღვაურები რაზმს ხელმძღვანელობს იაპონიის მთავარსარდალი ქური. რაზმმა უნდა დაიცვას უცხოეთის სახელმწიფოების წარმოებები და თვალყური ადევნოს განიარაღებულ ჩინელ ჯარისკაცებს.

ლონდონი. 19 იანვარი. „დეილი მეილ"-ის შანხაელი კორესპონდენტი იტყობინება, რომ პარასკევს დაიწყო მეოთხე სამოქალაქო ომი ჩინეთში, ვინაიდან გენერალმა ლუ-იუნ-სიანმა (ჩე-კიანგის პროვინციის ყოფილი სამხედრო-გუბერნატორი) დაიწყო შეტევა აჯანყებულებზე, რომელთაც უჭირავთ შანხაი. უცხოელების ხელისუფლება მზად არის გადმოსხან დესანტები 19 სამხედრო გემიდან, რომლებიც დგანან შანხაის ნავსადგურში.

## პოლონეთ-დანციგის კონფლიქტი

ბერლინი, 19 იანვარი. დანციგის სენატის თავმჯდომარე ზაამი სენატში გამოვიდა ვრცელი სიტყვით „საფოსტო" კონფლიქტის შესახებ. **ზაამის აზრით, პოლონეთი ამ კონფლიქტში ხელმძღვანელობს მისწრაფებით დანციგი გამოაცხადოს პოლონეთის პროტექტორატის ქვეშ.** თავის მისწრაფებაში პოლონეთი აშკარა ბრძოლას უცხადებს თვით ერთა ლიგას, გამოდის რა მისი წარმომადგენლის წინააღმდეგ დანციგში.

**ერთა ლიგის კომისარის წინააღმდეგ.**

ბერლინი, 19 იანვარი. ვარშავიდან მიღებულ ცნობებით, პოლონეთის მთავრობა ოფიციალურათ მოითხოვს ერთა ლიგის კომისარის—მაკ დონელის გაწვევას. პოლონეთის გაზეთები ბეჭდავენ კარიკატურებს მაკდონელზე; კარიკატურებში ის გამოყვანილია სულელათ, რომელიც აშინებს პოლონელებს. ვარშავაში გაიმართა მთელი რიგი დემონსტრაციები მაკ-დონელის წინააღმდეგ.

## ამხ. ტროცკის წერილი რუსეთის კომპარტიის ცეკას პლენუმისადმი

მოსკოვი, 19 იანვარი.

პატივცემულო ამხანაგებო! ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დღის წესრიგში პირველათ სდგას საკითხი ადგილობრივ ორგანიზაციათა რეზოლიუციების შესახებ ტროცკის გამოსვლების გამო. რადგანაც ავადმყოფობის მიზეზით მოკლებული ვარ საშუალებას მონაწილეობა მივიღო პლენუმის მუშაობაში, ვფიქრობ, რომ გავაადვილებ ამ საკითხის განხილვას, თუ მოგცემთ შემდეგ ჩემს მოკლე განმარტებას:

პირველი. მე მგონია, რომ შემეძლო მომეყვანა საკმაოთ დამარწმუნებელი პრინციპიალური და ფაქტიური მოსაზრებანი იმ ჩემ წინააღმდეგ წამოყენებულ ბრალდებათა გასაბათილებლათ, თითქოს მე ვისახავდე მიზნათ „ლენინიზმის რევიზიას" და ლენინის როლის დამცირებას. მაგრამ მე უარი ვსთქვი მომეცა ახსნა-განმარტება ამ ნიადაგზე არა მარტო ავადმყოფობის გამო, არამედ იმ მიზეზითაც, რომ ახლანდელი დისკუსიის პირობებში ყოველგვარი ჩემი გამოსვლა ამ საკითხებზე დამოუკიდებლათ იმისი შინაარსისა, ხასიათისა და ტონისა, კიდევ უფრო გააღრმავებდა პოლემიკას და გადააქცევდა მას ერთი მხრიდან ორ მხრივათ, მისცემდა მას კიდევ უფრო გამწვავებულ ხასიათს. დისკუსიის მთელი მიმდინარეობის შეფასების დროს, მე მიუხედავათ იმისა, რომ ამ დისკუსიის დროს ჩემს წინააღმდეგ წამოყენებული იყო მრავალი უმართებულო და პირდაპირ განსაცვიფრებელი ბრალდებანი,—მე ვფიქრობ, რომ ჩემი სიჩუმე გამოსადეგი იყო პარტიის საერთო ინტერესების თვალსაზრისით.

მეორე. მაგრამ მე არავითარ შემთხვევაში არ შემიძლია მივიღო ბრალდება იმაში, თითქოს მე ვატარებდე განსაკუთრებულ ხაზს „ტროცკიზმისას" და ვცდილობდე რევიზია უყო ლენინიზმს. აზრი, რომელსაც მე მაწერენ, თითქოს არა მე მივედი ბოლშევიზმთან, არამედ ბოლშევიზმი მოვიდა ჩემთან—ეს აზრი მეჩვენება მე პირდაპირ განსაცვიფრებლათ. ჩემს წინასიტყვაობაში „ოქტომბრის გაკვეთილები" მე პირდაპირ ვლაპარაკობ: „ბოლშევიზმი მოემზადა თავის როლისთვის რევოლიუციაში შეურიგებელი ბრძოლით არა მარტო ნაროდნიკებისა და მენშევიზმის, არამედ „შემარიგებლობასთანაც" წინააღმდეგ ე. ი. იმ მიმდინარეობის წინააღმდეგ, რომელსაც მე ვეკუთვნოდი.

ამ უკანასკნელი რვა წლის განმავლობაში მე არასოდეს არ მომსვლია აზრად მივდგომოდი რომელიმე საკითხს, ეგრედწოდებული „ტროცკიზმის" თვალსაზრისით, იმ „ტროცკიზმის", რომელიც მე ვსთვლიდი და ვსთვლი პოლიტიკურად დიდიხანია ლიკვიდირებულად. ვიყავი მე მართალი თუ შემცდარი ამა თუ იმ საკითხში, რომელიც წამოიჭრებოდა ოდესმე ჩვენი პარტიის წინაშე,—მე გამოვდიოდი ამ საკითხების გადაჭრის დროს ჩვენი პარტიის საერთო თეორეტიულ და პრაქტიკულ გამოცდილებიდან.

მთელი ამ წლების განმავლობაში არავის არასოდეს არ უთქვამს ჩემთვის, რომ ესა თუ ის ჩემი აზრები, ან წინადადებანი მომასწავებელნი არიან განსაკუთრებული მიმდინარეობისა—„ტროცკიზმისა". ჩემთვის სრულიად მოულოდნელათ თვით ეს სიტყვა ამოტივტივდა ჩემი წიგნის „1917" გარშემო გამართულ დისკუსიის გამო.

მესამე. ამასთან დაკავშირებით ყველაზე მეტი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს გლეხობის შეფასების საკითხს. მე გადაჭრით უარვყოფ იმას, თითქოს „პერმანენტული რევოლიუციის" ფორმულა, რომელიც სავსებით წარსულს ეკუთვნის, რამოდენიმეთ მაინც [illegible] მე არა საკმაო ყურადღებით მოპყრობას გლეხობისადმი საბჭოთა რევოლიუციის პირობებში. თუ მე ხანდახან ოქტომბრის შემდეგ კერძო შემთხვევებში ვეხებოდი „პერმანენტულ რევოლიუციის" ფორმულას, ეს ხდებოდა მხოლოდ პარტიის ისტორიისათვის, ე. ი. წარსულის მოგონებისათვის და არა დღევანდელი პოლიტიკური ამოცანების გასარკვევათ.

ამ ნიადაგზე შეუთავსებელ წინააღმდეგობათა აღმოჩენა, ჩემის აზრით, ვერ გამართლდება ვერც რევოლიუციის რვა წლის გამოცდილებით, რომელიც ჩვენ ერთად გავიარეთ, ვერც მომავალი ამოცანებით.

აგრეთვე მე უარვყოფ ბრალდებას, თითქოს პესიმისტურათ ვუყურებდე მომავალს ჩვენი სოციალისტური აღმშენებლობისას [illegible] შენელებულ რევოლიუციონური განვითარების პირობებში. მიუხედავათ ყოველგვარ სიძნელეებისა, რომლებიც გამომდინარეობენ კაპიტალისტური გარემოცვის ფაქტიდან, ეკონომიური და პოლიტიკური რესურსები საბჭოთა დიქტატურისა ძალიან დიდია. მე არა ერთხელ განმიმარტავს და დამისაბუთებია ეს აზრი პარტიის დავალებით, კერძოთ საერთაშორისო კონგრესებზე და ვფიქრობ, რომ ეს აზრი მთელ თავის ძალაში რჩება ისტორიული განვითარების მიმდინარე პერიოდში.

მეოთხე. საკამათო საკითხების შესახებ, რომლებიც გადაჭრა პარტიის მეცამეტე ყრილობამ, მე, არც ცეკაში, არც შრომის და თავდაცვის საბჭოში და არც მით უმეტეს ხელმძღვანელ პარტიულ და საბჭოთა დაწესებულებების გარეთ, არც ერთხელ არ გამოვსულვარ რაიმე წინადადებებით, რომლებიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ ხელახლა აყენებდენ უკვე გადაწყვეტილ კითხვებს. მეცამეტე ყრილობის შემდეგ გაიზარდენ ან უფრო ნათლათ წამოიჭრენ მეურნეობის, საბჭოების შესახებ და საერთაშორისო ხასიათის ამოცანები. მათი გადაჭრა განსაკუთრებულ სიძნელეს წარმოადგენს. ჩემგან შორს იყო აზრი, წამომეყენებინა პარტიის ცეკას მუშაობის წინააღმდეგ რაიმე პლატფორმა ამ საკითხების გადაჭრის დროს. იმ ამხანაგებისათვის, რომლებიც ესწრებოდენ პოლიტბიუროს, ცეკას პლენუმის, შრომის და თავდაცვის საბჭოს და საბჭოთა კავშირის, რევოლიუციონურ სამხედრო საბჭოს სხდომებს, ამის მტკიცება საჭირო არ არის. საკამათო კითხვები, რომლებიც გადაჭრა მეცამეტე ყრილობამ, წამოყენებული იქნენ უკანასკნელ დისკუსიაში არა მარტო ჩემ მუშაობასთან კავშირის გარეშე, არამედ—რამდენათაც მგონია ახლა—პარტიის პრაქტიკულ კითხვებთან დაუკავშირებლათაც.

მეხუთე. რამდენათაც უკანასკნელ დისკუსიას ფორმალურ საბაბათ მიეცა ჩემი წიგნის „1917" წინასიტყვაობა, მე საჭიროდ ვსთვლი პირველ ყოვლისა თავიდან ავიცილო ის ბრალდება, თითქოს მე ვბეჭდავდი [illegible], ასე ვთქვათ, ცეკასაგან საიდუმლოთ. ნამდვილათ კი წიგნი იბეჭდებოდა ჩემი მკურნალობის დროს კავკასიაში, სრულიად იმავე წესით, როგორც სხვა ჩემი წიგნები ან და ცეკას სხვა წევრების ან და საზოგადოთ პარტიული წევრების წიგნები. რასაკვირველია ცეკას საქმეა ამ თუ იმ ფორმის კონტროლი დააწესოს პარტიულ გამოცემებზე. მაგრამ მე არავითარი მხრით და სულ ცოტა ოდნავათაც არ დამირღვევია კონტროლის ის ფორმები, რომლებიც დაწესებული იყო დღემდე, და რასაკვირველია არავითარი საბაბიც არ მქონდა ასეთი დარღვევისათვის.

მეექვსე. წინასიტყვაობა „ოქტომბრის გაკვეთილები" წარმოადგენს განვითარებას იმ აზრებისას, რომლებიც მე ადრეც გამომითქვამს, განსაკუთრებით უკანასკნელ წლის განმავლობაში. მე აქ დავასახელებ მხოლოდ შემდეგ მოხსენებებს და წერილებს: „ევროპის რევოლიუციისაკენ მიმავალ გზებზე" (თბილისი, 11 აპრილი 1924 წ.), „პერსპექტივები და ამოცანები აღმოსავლეთში" (29 აპრილი), ,,რომელ ეტაპს გავდივართ ჩვენ'' (21 ივლისი), ,,სამოქალაქო ომის ძირითადი საკითხები''. ყველა ჩამოთვლილი მოხსენებები, რომლებიც გამოწვეული იყვნენ რევოლიუციის დამარცხებით 1923 წლის შემოდგომაზე, იბეჭდებოდენ ,,პრავდაში'', ,,იზვესტიაში'' და სხ. გამოცემებში. ცეკას არც ერთ წევრს და მით უმეტეს პოლიტბიუროს მთლიანათ არც ერთხელ არ მიუქცევიათ ჩემი ყურადღება იმაზე, რომ ეს შრომები შემცდარნი არიან. გარდა ამისა ,,პრავდას'' რედაქციის არა თუ არ გაუკეთებია ჩემი მოხსენებისათვის შენიშვნები, არამედ ერთხელაც არ უცდია აღენიშნა, რომ ის მათ არ ეთანხმება.

თავისთავათ იგულისხმება, რომ ჩემს ანალიზს ,,ოქტომბრისას'' გერმანიის ამბებთან დაკავშირებით, მე არა თუ არ უყურებდი როგორც პლატფორმას, არამედ არც მეგონა რომ იმას მიიღებდენ პლატფორმის აზრით, როგორიც ის არ ყოფილა და არც შეიძლება ყოფილიყო.

მეშვიდე: რამდენათაც დღეს მე ბრალს მდებენ ზოგიერთ სხვა წიგნებისთვისაც, მათ შორის ისეთებისთვისაც, რომლებიც რამოდენიმეჯერ იქნენ გამოცემული, მე საჭიროთ ვსთვლი აღვნიშნო, რომ არა თუ პოლიტბიუროს მთლიანად, არამედ ცეკას არც ერთ წევრს არც ერთხელ არ უთქვამს ჩემთვის, რომ ესა თუ ის წერილი ან წიგნი გაგებულ იქნება როგორც ლენინიზმის „რევიზია". კერძოდ ეს ითქმის წიგნზე „1905", რომელიც გამოვიდა ვლადიმერ ილიჩის სიცოცხლეში, რამოდენიმეჯერ იქნა გამოცემული, მოწონებული პარტიულ პრესაში და გადათარგმნილია უცხო ენებზე კომინტერნის მიერ, ეხლა კი ლენინიზმის რევიზიის ბრალდებაში მთავარ მასალათ იქნა გამოყენებული ჩემს წინააღმდეგ.

მერვე: ზემო თქმულით მე მსურს, როგორც თავიდანვე განვაცხადე, გავუადვილო პლენუმს იმ საკითხის გადაჭრა, რომელიც დღის წესრიგის პირველ მუხლში სდგას. რაც შეეხება დისკუსიის დროს განმეორებულ განცხადებას, თითქოს მე მსურდეს შემექმნა პარტიაში ჩემთვის „განსაკუთრებული მდგომარეობა", არ ვემორჩილებოდე დისციპლინას და უარს ვამბობდე ამა თუ იმ სამუშაოზე, რომელსაც მანდობს მე ცეკა, მე არ შევუდგები ამ განცხადებათა შეფასებას და კატეგორიულათ ვაცხადებ:

**მე მზათ ვარ შევასრულო ცეკას დავალებით ყოველგვარი სამუშაო ყოველგვარ პოსტზე და ყოველი პოსტის გარეშეც და რასაკვირველია ყოველგვარ პარტიული კონტროლის პირობებში. კერძოდ არ არის საჭირო იმის მტკიცება: რომ უკანასკნელ დისკუსიის შემდეგ საქმის ინტერესები მოითხოვენ ჩემს დაუყოვნებლივ განთავისუფლებას სამხედრო რევოლიუციონურ საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობიდან.**

**დასასრულ საჭიროდ მიმაჩნია დავუმატო, რომ მე მოსკოვიდან არ წავსულვარ პლენუმამდე, რათა თუ საჭირო იქნებოდა საშუალება მქონებოდა ამა თუ იმ კითხვებზე პასუხის ან განმარტების მიცემისა.**

**ლევ ტროცკი.**

15 იანვარი 1925 წ.

(დეპეშა მიღებულია დღეს დილის 4 საათზე)

## მუსოლინის სამეფოში

**ოპოზიციის პროტესტი.**

რომი. 19 იანვარი. იტალიის პარლამენტის სხდომაზე ორლანდომ ლიბერალური ოპოზიციის სახელით გამოაქვეყნა დეკლარაცია, რომელსაც ხელს აწერენ ჯიოლიტი, ორლანდო, სალანდრა და სხვები. თავის სიტყვაში ის აკრიტიკებდა საარჩევნო კანონპროექტს; მან განაცხადა, რომ ამ კანონპროექტის მიხედვით გატარებული არჩევნები ნამდვილათ იქნება იტალიის ხალხის სურვილის ფალსიფიკაცია. ორლანდოს შემდეგ გამოსულმა ჯიოლიტიმ განაცხადა, რომ იტალიის ხალხის წარმომადგენლებს არასოდეს არ გამოუთქვამთ თავისი აზრი საარჩევნო რეფორმის შესახებ ისეთ არახელსაყრელ პირობებში, როგორიც ეხლა არსებობს.

**მუსოლინის განცხადება.**

რომი. 19 იანვარი. „ეკო დე პარი"ს კორესპონდენტთან საუბრის დროს მუსოლინიმ განაცხადა, რომ მან ოპოზიციას დაუთმო ყველაფერი, რისი დათმობაც შესაძლებელი იყო. „ოპოზიციის ექსცესები — აღნიშნა მუსოლინიმ,—იმდენათ გაძლიერდა, რომ უკვე საზოგადოების აღშფოთებას იწვევს".

„დეილი ექსპრეს"-ის კორესპონდენტთან საუბრის დროს მუსოლინიმ აღნიშნა, რომ იტალიაში სრული მშვიდობიანობაა, რომ უმუშევრობა სავსებით მოსპობილია. მუსოლინიმ ხაზი გაუსვა იმას, რომ საჭიროა ლაგამის ამოდება ოპოზიციონური პრესისათვის, რომლის უპასუხისმგებლო გამოსვლებს ზიანი მოაქვთ იტალიის ინტერესებისათვის საზღვარგარეთ.

ლონდონი. 19 იანვარი. რომიდან მიღებულ ცნობების თანახმათ, იტალიის პარლამენტის პრეზიდიუმმა მოიწონა კანონპროექტი საიდუმლო საზოგადოებების გაუქმების შესახებ და უარყო ქალთა ემანსიპაციის კანონპროექტი.

**იტალიის მუშათა მასების გამოღვიძება.**

რომი. 17 იან. იტალიელმა კომუნისტებმა შეიტანეს პარლამენტში რეზოლიუცია, რომელშიაც აცხადებდენ, რომ ახალი საარჩევნო კანონპროექტი, გარდა იმისა, რომ დამატებითი ხმებს აძლევს მესაკუთრეთა კლასს და მის დამქაშებს, აუქმებს სახელმწიფო საარჩევნო ბარათების დარიგებას. ეს მუშების და გლეხების კანდიდატებისაგან მოითხოვს დიდძალ ხარჯებს, რაც მათ საშუალებებს აღემატება. ახალი საარჩევნო კანონი წარმოადგენს მუშათა მასების გამოწვევას, რომლებიც კიდევ ზედმეტჯერ უნდა დარწმუნდენ კომუნიზმის დამყარების სამართლიანობაში, რომლებიც უნდა დარწმუნდენ, რომ პოლიტიკური ძალა-უფლების დაპყრობა შეუძლებელია ლეგალური საშუალებებით.

პარლამენტის თავმჯდომარემ სცნო, რომ რეზოლიუციის ზოგიერთი სიტყვები შეურაცხყოფს მთავრობას და პარლამენტს და უარი სთქვა მის მიღებაზე.

პროტესტის ნიშნად კომუნისტური ფრაქცია არ გამოცხადდა პარლამენტის სხდომაზე.

**მუსოლინის „ახალი კურსი".**

მოსკოვი. 19 იან. „როსტა"-ს კორესპონდენტთან საუბრის დროს კომინტერნის აღმასკომის მდივანმა ლათინთა ქვეყნებიდან ემბერ დრომ იტალიის მდგომარეობის შესახებ განაცხადა შემდეგი:

„მუსოლინის ახალ კურსს ახასიათებს ორი გარემოება: პირველი—ფაშიზმი სულს ღაფავს, მან გაუწია თავისი სამსახური ბურჟუაზიას მუშათა მოძრაობის ჩაქრობის დროს, მეორე—**ფაშიზმი ამჟამად სავსებით გარიყულია და ძალა-უფლების სათავეში რჩება მხოლოდ იმის გამო, რომ პარლამენტში ჰყავს უმრავლესობა** და—რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია—ჰყავს ფაშისტური მილიცია—150—180 კაცისაგან შემდგარი.

მაგრამ თუ ფაშიზმმა კიდევ განაგრძო თავისი არსებობა, აუცილებლად გაძლიერდება მუშათა მოძრაობა, გაძლიერდება მოძრაობა აგრეთვე წვრილ გლეხობას შორის. ამიტომ ბურჟუაზია ცდილობს შექმნას ლიბერალური მთავრობა, საფრანგეთში არსებულ მემარცხენე ბლოკის მსგავსად.

## საფრანგეთ-გერმანიის მოლაპარაკება

**საფრანგეთის უკანასკნელი წინადადებები**

პარიზი, 18 იანვარი. ვაჭრობის მინისტრმა რეინალდმა გერმანიის სავაჭრო დელეგაციის თავმჯდომარეს—ტრენდელენბურგს გადასცა საფრანგეთის უკანასკნელი წინადადებები, რომლებიც შეიცავენ უკიდურეს დათმობას და რომლებიც გულისხმობენ მინიმალურ საბაჟო ნორმების შემოღებას გერმანიის ზოგიერთ პროდუქტებზე. სამაგიეროთ გერმანიამ ხელი უნდა შეუწყოს საფრანგეთის პროდუქციის შეტანას გერმანიაში.

## იაპონიის ამბები

**ბლოკი იაპონიის მთავრობის წინააღმდეგ**

ტოკიო. 17 იანვ. უმაღლეს პალატის ორივე პარტიამ კენსეკაიმ და კოიუკაიმ შეადგინეს ბლოკი მთავრობის წინააღმდეგ საბრძოლველათ, რადგან მას განზრახვა აქვს ცვლილება შეიტანოს ლორდთა პალატაში. პარლამენტარულ წრეებში დიდის ინტერესით ელიან პარლამენტის სესიის განახლებას, რომელიც უნდა მოხდეს მახლობელ კვირაში. ფიქრობენ, რომ შეიძლება ისეთი ამბები დატრიალდეს, რაც უშუალოთ საფრთხეს წარმოადგენს თვით მთავრობის არსებობისთვის.

**იაპონიის მშრომელთა მთლიანი ფრონტი**

ტოკიო. 17 იანვ. 15 იანვარს მოხდა წინასწარი თათბირი აღმოსავლეთ იაპონიის სხვადასხვა წარმოების 60 მუშათა გაერთიანების წარმომადგენლებისა. თათბირმა დაადგინა: სხვადასხვა კონფლიქტების გადასაწყვეტათ და მშრომელთა [illegible] ცენტრალური კომი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უკანასკნელი ცნობები

## სუდანის არმია

ლონდონი, 19 იანვარი. კვირას ხარტუმში ოფიციალურათ გამოაცხადეს, რომ სუდანში იქმნება ახალი არმია, რომლის მიზანი იქნება სუდანის დაცვა ყოველგვარ მტრულ მოქმედებისაგან. ეს არმია იქნება სუდანის გენერალ-გუბერნატორის უშუალო განკარგულებაში. გუბერნატორს უფლება ეძლევა მიიღოს და დაითხოვოს ყველა ოფიცრები. სუდანის მთავრობა კისრულობს ჯამაგირის და პენსიების მიცემას ოფიცრებისათვის იმავე რაოდენობით, როგორიც შემოღებულია ეგვიპტის არმიაში.

მთელ სუდანში გავრცელებული იქნება ინგლისური და არაბული პროკლამაცია, რომელშიაც გამოცხადებულია სუდანის არმიის შექმნა.

## ბლასკო იბანიესის საქმე

ლონდონი. 19 იანვ. კვირას ესპანეთის მეფემ ალფონსმა კარდოვაში წარმოსთქვა მეფისათვის უჩვეულო სიტყვა. უპასუხა რა თავისი მოწინააღმდეგეების ბრალდებებზე, მან განაცხადა: „მე მტკიცეთ ვასრულებდი ჩემს მოვალეობას ჩემი ხალხის მიმართ და გარწმუნებთ თქვენ, რომ მეფე შეიძლებს მოკვდეს თავის სადარაჯოზე“. ბლასკო იბანიესი მეფემ შემდეგნაირათ დაახასიათა: „ბრალმდებელი, რომელიც ჰაეროპლანებიდან ყრის პამფლეტებს ესპანეთში, თვითონ კი საზღვარგარეთ იმალება; ბლასკო იბანიესი ჩირქს სცხებს იმ ხალხს, რომლებიც ესპანეთის პატიოსნებისათვის კვდებიან მაროკოში. ამიტომ ის თავის სამშობლოს მოღალატეა და მისი ცილისწამება დაუსჯელი ვერ დარჩება“.

ლონდონი. 19 იანვ. 24 იანვარს დაიწყება ბლასკო იბანიესის პროცესი; მას ბრალდება ცილისწამება. ბრალდება მას წაყენებული აქვს საფრანგეთის სასამართლოს მიერ ესპანეთის მთავრობის მოთხოვნის თანახმად.

## მოკავშირეთა ვალები

პარიზი. 19 იანვარი. რეიტერის სააგენტოს ცნობით, ახლო მომავალში შეიძლება მოწვეულ იქნეს მოკავშირეთა კონფერენცია ვალების საკითხების განსახილველად.

— „დეილი ტელეგრაფ“-ის ცნობით, ინგლისის ნოტა საფრანგეთისადმი არ შესცვლის ბალფურის ნოტაში გამოთქმულ მოთხოვნილებებს, მაგრამ მოითხოვს მხოლოდ იმ თანხის გადახდას, რომელიც აუცილებელია ინგლისისათვის ამერიკის ვალების გადასახდელად.

## ბერლინის პროლეტარიატის გრანდიოზული დემონსტრაცია

ბერლინი, 19 იანვარი. ლენინის, კ. ლიბკნეხტის და რ. ლიუქსემბურგის კვირასთან დაკავშირებით შესდგა გერმანიის კომპარტიის გრანდიოზული დემონსტრაცია ამნისტიის საკითხის გარშემო. პროცესიაში მონაწილეობას იღებდენ წითელი ფრონტის მებრძოლთა კავშირის ყველა ორგანიზაციები, ახალგაზრდების ორგანიზაციები, ქალები, ბავშვები.

დემონსტრანტები გაიძახოდნენ: „მოგვეცით უკან ჩვენი მამები და ქმრები“. შეიკრიბა 60.000 მეტი კაცი, ფრიალებდა რამოდენიმე ასი დროშა ცალკე ქარხნების და რაიონული ორგანიზაციებისა. ლენინის, ლიბკნეხტის და როზა ლიუქსემბურგის სურათებთან ერთად მოსჩანდენ პლაკატები ლოზუნგებით: „თავისუფლება ჩვენ შვიდი ათასს“ ძირს დოუესის გეგმა! ლიუქსემბურგის და ლიბკნეხტის საფლავები შემკულ იქნენ ასზე მეტი გვირგვინით.

## მუშათა მოძრაობა

### სამსახურიდან დათხოვა გაფიცვისათვის

პარიზი. 19 იანვარი. სამხრეთ-აფრიკის მთავრობამ პარლამენტში შეიტანა კანონ-პროექტი, რომლის თანახმათ პირველი მოთხოვნილების საგნების დამამზადებელი წარმოების მუშები, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ გაფიცვებში, დაუყოვნებლივ დათხოვნილი იქნებიან სამსახურიდან.

### იმუქრებიან გაფიცვით

ლონდონი. 15 იანვარი. პლიმუტის მუშები, მუნიციპალურ საბჭოსთან უთანხმოების გამო, იმუქრებიან გაფიცვით.

### ვან-ექსტერგემის დაპატიმრება

პარიზი. 19 იანვ. ბრიუსელიდან მიღებულ ცნობების თანახმათ, პოლიციამ ხელახლა დააპატიმრა კომუნისტი ვან-ექსტერგემი, რომელმაც პირველი დაპატიმრების დროს პირობა დასდო, რომ იმ შემთხვევაში, თუ ის განთავისუფლებული იქნება, შესწყვეტს რევოლიუციონურ მუშაობას, განთავისუფლების შემდეგ კი საჯაროთ დაიწყო რევოლიუციონური პროპაგანდის გაწევა.

# წითელ რესპუბლიკებში

## რუსეთი

### აქნობამდის უცნობი წერილები და რეცენზიები ბელინსკისა

ლენინგრადი. 17 იანვარი. რუსეთის ბიბლიოგრაფიულ საზოგადოების კრებაზე ბიბლიოგრაფმა სპირიდონოვმა განაცხადა, რომ ვენგეროვის არქივის გადარჩევის დროს, მან აღმოაჩინა ბელინსკის აქნობამდის უცნობი 100 წერილები და რეცენზიები, რომლებიც იბეჭდებოდენ ხელმოუწერავათ.

### მუშებმა დაადგინეს დაჰკეტონ ქარხნის ეკლესია

არტემოვსკი. 17 იანვარი. საგუბერნიო აღმასკომმა დაამტკიცა ზერგულის ცხენების მოსაშენებელ ქარხნის მუშების დადგენილება ეკლესიის დაკეტვის შესახებ. ეს გადაწყვეტილება გადაეცა საბოლოო დასამტკიცებლად უკრაინის ცაკს.

### რელიგიურ დღესასწაულებზე უარის თქმა.

ყაზანი. 17 იანვ. ჩისტოპოლში ქარხანა „წითელი ვარსკვლავი“-ს მუშებმა საერთო კრებაზე დაადგინეს უარი სთქვან რელიგიურ დღესასწაულების უქმობაზე. დასასვენებელ დღეთ არჩეულია ოთხშაბათი.

# ა.-კ. ფედერაციაში

## საქართველო

### აფხაზეთი

#### საბჭო სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატთან.

სოხუმი. 17 იანვარი. სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატთან დაარსდა საბჭო პენსიების და დახმარების გაცემის საქმეების განსახილველად.

#### საბეითლო სამკურნალოები.

სოხუმი. 17 იანვარი. მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატი ყველა სამაზრო ქალაქებში აწყობს საბეითლო სამკურნალოებს.

#### პირუტყვთა დაზღვევა.

სოხუმი. 17 იანვარი. აფხაზეთის სოფლებში დაიწყო კამპანია პირუტყვების ნებაყოფლობითი დაზღვევის ჩასატარებლად.

#### ლენინის ხსოვნის კვირისათვის.

სოხუმი. 17 იანვარი. ლენინის ხსოვნის კვირისათვის განათლების სახალხო კომისარიატი აწყობს გამოფენას, რომელსაც ექნება განყოფილება: „ლენინი“, „ლენინიზმი“ „1905 წლის 9 იანვარი“.

# პარტიული ცხოვრება

## პარტიული მუშაობა ბორჯომის რაიონში

ნოემბრის და დეკემბრის თვეებში ბორჯომის რაიონში არსებობდა 18 კომუჯრედი. რაიკომს ჰქონდა წარსული წლის ნოემბრის და დეკემბრის თვეების განმავლობაში 5 სხდომა, სადაც გაირჩა როგორც პოლიტიკური, აგრეთვე ეკონომიური და და სააღშენებლო საკითხი.

### კამპანიების ჩატარება.

აღნიშნულ თვეების განმავლობაში ჩატარებულია შემდეგი კამპანიები: კოოპერაციის, წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის, ერთიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადის, „რემედასის“, ბორჯომის წარმოებების აღორძინების, კომკავშირის შობის ჩატარების და საბჭოების მომავალი არჩევნების შესახებ.

### მეცადინეობა პოლიტ-წრეებში

ბორჯომში დაარსებულია 2 პოლიტწრე: ერთი მუშათა უბანში და მეორეც თვით ბორჯომში, სადაც მეცადინეობა სწარმოებს კვირაში ორჯერ: ორშაბათობით და ხუთშაბათობით. ამ წრეებს ხელმძღვანელობს ქართულ ენაზედ ამხ. ლოტოევი, ხოლო რუსულ ენაზე ამხ. სორნელინი. პოლიტ-მეცადინეობა მიმდინარეობს როგორც ლექციური, ისე საუბრების სახით.

### ქალთა შორის მუშაობა

აღნიშნულ თვეების განმავლობაში ქალთა შორის მუშაობა სწარმოებდა სისტემატიურად. აქ საყურადღებოა ის გარემოება, რომ თვით ბორჯომში დაარსდა ქალთა არტელი, რომელმაც გახსნა ჭრა-კერვის სასწავლებელი და ამჟამად აწარმოებს შეკავშირებულ, კოლექტიურ მუშაობას.

### სოფლად მუშაობის შესახებ

სოფლებში ჩატარებულია მთელი რიგი საერთო კრებებისა, სადაც გაირჩა შემდეგი საკითხები: „რემედასის“, ქოხ-სამკითხველოების მნიშვნელობის შესახებ, საერთაშორისო მდგომარეობაზე და სხვა.

### შეფობა სოფლად

კომუჯრედებს აღებული აქვთ შეფობა ჩამორჩენილ სოფლებზე, საშეფო კომისიები უმთავრესად აწარმოებენ კულტურულ მუშაობას, კერძოდ კი საშეფო სოფელს აწვდიან სხვადასხვა ლიტერატურას, რვეულებს, წიგნებს, ფანქრებს და სხვა სამოსწავლო ნივთებს.

### სალიკვიდაციო სკოლები სოფლად

ბორჯომის რაიონში არსებობენ სალიკვიდაციო სკოლები შემდეგ სოფლებში: საკირეში, დვირში, ქოხისხევში, წაღვერში, ბაკურიანში, ახალდაბაში, კორტანეთში და სხვა, სადაც გლეხობა მეცადინეობისადმი დიდ ენერგიულობას იჩენს და გულმოდგინედ დაიარება სკოლებში.

ამასთანავე რაიონში მეტწილად კი სოფლებში გახსნილია ქოხ-სამკითხველოები, რომლებსაც შეფები უწერენ თითქმის ყველა გაზეთებს.

### გლეხკომის მუშაობა

ბორჯომის გლეხკომმა გახსნა წითელი სასადილო, რომელმაც დიდ ძალი მშრომელი გლეხობა მიიზიდა და აღარ უვარდებიან კერძო ვაჭრებს ხელში. აგრეთვე შენდება საგლეხო სახლიც. საერთოთ გლეხკომის თავმჯდომარის ამხ. მურჯიკნელის ხელმძღვანელობით გლეხკომის მუშაობა სათანადო სიმაღლეზეა დაყენებული.

წ. ლოტოევი.

## საბჭოთა არჩევნები

უკვე დაიწყო საბჭოების ხელახალი არჩევნების და მათი გადახალისების კამპანია. საბჭოთა ხელისუფლება მშრომელი მასის წინაშე კიდევ ახდენს ეკონომიურ და იდეოლოგიურ ფრონტზე თავის მიღწევათა დემონსტრაციას, იგი ჯამს უკეთებს ერთი წლის ნამუშავარს და წარსული გამოცდილების სათანადოთ შეფასების მიხედვით სახავს მომავალ სამუშაო გეგმას.

თავისთავად ცხადია, რომ საბჭოთა არჩევნების კამპანია არის იმავე დროს უდიდესი შესაძლებლობა საბჭოთა მუშაობის ნაკლულევანებათა გასწორების და გაცხოველებისათვის.

მაგრამ რაში მდგომარეობდა საბჭოების მუშაობის ნაკლულევანება? უპირველეს ყოვლისა არა საკმაო კავშირში უპარტიო მშრომელ ფართო მასასთან საერთოდ და განსაკუთრებით სოფლის გლეხკაცობასთან.

ეს იყო საბჭოთა მუშაობის მთავარი ნაკლულოვანება, რომლის გამოსასწორებლათ კ. პ. მიერ წამოყენებულია ლოზუნგი „უპარტიო შრომელთა უფრო მეტი, პროცენტის გაყვანა საბჭოებში ვინემ დღემდეს იყო“, ეს ლოზუნგი სავსებით და ამასთანავე დაუყოვნებლივ უნდა გავატაროთ ცხოვრებაში. უნდა ჩავაბათ საბჭოთა მუშაობაში: უპარტიო, პატიოსანი მშრომელი გლეხობა, სოფლის კულტურული ძალები, რომლებიც გულწრფელად დგანან საბჭოთა პლატფორმაზე. ქალები, რომლებიც ეწევიან საზოგადოებრივ მუშაობას და ახალგაზრდები, რომლებიც იჩენენ საამისო უნარიანობას.

აი ამ აქტივის საბჭოთა მუშაობაში ჩაბმით შესაძლებელი გახდება უპარტიო მშრომელ მასასთან მჭიდრო კავშირის დაჭერა და მთელი ღარიბის და საშუალო გლეხობის საბჭოთა ხელისუფლების დროშის ქვეშ სავსებით შემოკრება.

ამ შემთხვევაში პარტიულმა ორგანიზაციებმა როგორც სოფლად, ისე ქალაქად ყოველ მხრივ ხელი უნდა შეუწყონ საბჭოთა არჩევნების წარმატებითი ჩატარებისათვის.

ართ.

## კავთისხევის კომუჯრედში

(გორის მაზრა)

სოფელ კავთისხევის კომუჯრედი დაარსდა 1924 წელში საქართველოს ავანტიურის შემდეგ. პირველ ხანებში ის აერთიანებდა სულ შვიდ ამხანაგს.

ამ ხნის განმავლობაში სოფელ კავთისხევის პარტმუშაობა საგრძნობლად მოისუსტებდა, რადგან პარტუჯრედს არ ყავდა სათანადოთ მომზადებული ხელმძღვანელები.

დღეს კი სოფელ კავთისხევის პარტუჯრედის და თვით კავთისხევის რაიონის მდგომარეობა სავსებით შეიცვალა. პარტიის რიგები შეივსო ინტელიგენტი და მშრომელი გლეხობისგან. ამით სოფელ კავთისხევის პარტუჯრედი განმტკიცდა და ჩამოყალიბდა. ეხლა ეს ორგანიზაცია აერთიანებს [illegible] წევრს და 34 პარტიის კანდიდატს.

საერთოდ კი უნდა აღინიშნოს რომ კავთისხევის პარტუჯრედი სდგას თავის სიმაღლეზე. ის აქტიურად ჩაბმულია როგორც პარტიულ ისე საბჭოთა მუშაობაში.

პარტკორი მ. ჯანჯალაშვილი.

## პარტიული ქრონიკა.

### საქ. კომპ. თბ. კომიტეტის პრეზიდიუმში

#### პარტიაში ლენინელების გადაყვანის შესახებ.

თბილისის კომიტეტის პრეზიდიუმმა აღნიშნა, რომ პარტიაში ლენინელების გადაყვანა სუსტად მიმდინარეობს. 2376 ლენინელიდან იაჩეიკების მიერ გადაყვანილია დღემდის სულ 372 კაცი, ანუ 15 პროც., ხოლო რაიკომებმა ჯერ ჯერობით დაამტკიცეს 206 კაცი.

გადაყვანის გასაძლიერებლად, თბილისის კომიტეტის პრეზიდიუმმა წინადადება მისცა რაიკომებს მიიღონ ზომები (პარტიის წესდების ფარგლებში), რათა გაადვილებული იქნას პარტიაში ლენინელების გადაყვანა.

პარტიაში გადაყვანის გაადვილების ერთ-ერთ მეთოდათ უნდა ჩაითვალოს ლენინელების დამტკიცება სადელეგატო კრებებზე ყოველგვარ დაკითხვის გარეშე, თუ არ შემოვა რაიმე მამხილებელი საბუთები.

თბილისის კომიტეტის პრეზიდიუმს საჭიროთ მიაჩნია გამოიყენოს ლენინის „კვირეული“ პარტიაში ლენინელების გადასაყვანათ იმ ვარაუდით, რათა 25 თებერვლისათვის გადაყვანილი იქნან არა ნაკლებ 50 პროცენტისა.

#### მომავალ შემოწმების კამპანიის ჩასატარებლათ.

თბილისის კომიტეტის პრეზიდიუმმა მიიღო გადაწყვეტილება, ჩატარებული იქნას კამპანია მომავალ შემოწმების გასაცნობათ პარტიის წევრებისათვის. კამპანია უნდა დაიწყოს 25 იანვრიდან და ჩატარდეს სადელეგატო კრებებზე და დიდ იაჩეიკებში. კამპანიის ჩასატარებლათ ლენინის რაიონზე მიმაგრებულია ამხ. ვანო სტურუა, არსენალის რაიონზე — სტელმახი, ავლაბარ-ხარფუხის რაიონზე — გიორგი სტურუა და ქალაქის რაიონზე — ჟორბენაძე.

# მასწავლებელთა საკავშირო ყრილობა

## ჩვენი საერთაშორისო მდგომარეობა

### ამხ. რაკოვსკის მოხსენება

მოსკოვი, 17 იანვარი. მასწავლებელთა საკავშირო ყრილობის საღამოს სხდომაზე 15 იანვარს რაკოვსკიმ მოხსენება გააკეთა საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ.

ყრილობის 17 იანვრის დილის სხდომაზე რაკოვსკიმ შეკითხვებზე პასუხის გაცემის წინ განაცხადა, რომ შეკითხვების მეტი ნაწილი ეხება „ზინოვიევის წერილის“ საკითხს. წერილი, როგორც, სჩანს შედგენილია მოსკოვში და მიზნად ისახავდა ინგლის-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულების ჩაშლას. დოკუმენტის სისწორის დასამტკიცებლად, ის ერთბაშად მიღებულ იქნა ოთხ წყაროდან. ეს ადვილი საქმე იყო, რადგან მოსკოვში შედგენილი „წერილი“ გატარებულ იქნა რიგაში და ბერლინში, საიდანაც ის გადაიგზავნა ლონდონში. ეხლა საბოლოოდ გამორკვეულია, რომ ნამდვილი დოკუმენტი არ მოიპოება არც დედანის და არც ფოტოგრაფიული ასლის სახით.

არის მხოლოდ ჩაწერა, რომელსაც თან ახლავს შეცდომით შედგენილი სათაურები და ხელის მოწერა. დიპლომატიურად ეს საქმე ჩვენთვის ამოწურულია. ინგლისის ტრედიუნიონების დელეგაციამ, რომელიც დაწვრილებით გაეცნო საქმის მდგომარეობას თვით კომინტერნში, ერთხმად აღიარა, რომ არც ეს და არც ამის მსგავსი დოკუმენტი კომინტერნში არ აღმოჩენილა. საკითხი ამოწურულია ინგლისის მუშათა პარტიისათვისაც, რომელსაც დოკუმენტის სიყალბე გამორკვეულად მიაჩნია.

შეკითხვები შეეხო აგრეთვე იმას, თუ როგორი განწყობილება [illegible] თეთრ გვარდიელებში, განსაკუთრებით მის მშრომელ ნაწილში, [illegible] მოიპოება ემიგრაციაში. ემიგრაციის წრეში, უეჭველია, მოხდა გარდატეხა. როგორც კი საფრანგეთში დაიწყო მუშაობა ჩვენმა სრულუფლებიანმა წარმომადგენლობამ, წარმომადგენლობაში შემოვიდა აურებელი განცხადებები საბჭოთა კავშირში დაბრუნების შესახებ. ემიგრაცია დიდ შინაგან კრიზისს განიცდის.

ამ ჟამად ევროპაში არის თეთრთა ემიგრაციის ორი ბუდე: პრაგა და ბელგრადი. პრაგაში იმყოფებიან ესერული ელემენტები, ბელგრადში — ვრანგელელები.

ევროპის ფართო საზოგადოებრივ აზრს არაფერი სჯერა იმ ილიუზიების, რომელთაც ავრცელებს თეთრთა ემიგრაცია.

შემდეგ რაკოვსკი ჩერდება ცალკე ქვეყნების მდგომარეობაზე და ამბობს: „იუზის გადადგომას ნიადაგი მომზადებული ჰქონდა ჯერ კიდევ პარლამენტის ხელახალ არჩევნებამდე. იუზის პოლიტიკას საბჭოთა კავშირის მიმართ დაუპირისპირდა პოლიტიკა სენატორ ბორახი, რომელიც სათავეში ჩაუდგა სენატის გარეშე საქმეთა კომისიას აუცილებელი იყო ან გარეშე საქმეთა მინისტრის იუზის, ან კომისიის თავმჯდომარე ბორას გადადგომა. ამერიკაში კამპანია საბჭოთა კავშირის ცნობის სასარგებლოდ ენერგიულად სწარმოებდა ჯერ კიდევ შარშან; კამპანიის მთავარ მიზეზად უნდა ჩაითვალოს სავაჭრო ურთიერთობის გაძლიერება საბჭოთა კავშირსა და ამერიკას შორის, მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულება არ გვქონია დადებული.

შემდეგ რაკოვსკი შეეხო საფრანგეთის მიერ ბიზერტაში მყოფ საბჭოთა გემის დაბრუნების საკითხს და განაცხადა, რომ დაბრუნებას აფერხებს პირველ ყოვლისა ტექნიკური მიზეზები (გემების შეკეთება და სხვ.) და შესაძლებელია აქ ადგილი ჰქონდეს პოლიტიკური ხასიათის მიზეზებსაც: როგორც იცით, საფრანგეთის მთავრობაზე ზეგავლენას ახდენენ ამ მხრივ რუმინეთი და ბალტიის სახელმწიფოები.

რაკოვსკის მოხსენების გამო ყრილობა ღებულობს ერთხმად რეზოლიუციას, რომელშიაც ყრილობა ესალმება საბჭოთა ხელისუფლების მტკიცე პოლიტიკას, რომელიც მიმართულია ქვეყნის დამოუკიდებლობის და ოქტომბრის მონაპოვართა დაცვისაკენ.

## სამანდატო კომისიის მოხსენება

მოსკოვი, 17 იანვარი. სამანდატო კომისიის მოხსენებიდან, რომელიც მოისმინა მასწავლებელთა საკავშირო ყრილობამ 17 იანვრის სხდომაზე, ირკვევა: ყრილობაზე მონაწილეობას ღებულობს გადამწყვეტი ხმით 1553 დელეგატი და 105 სათათბირო ხმით ყრილობაზე წარმოდგენილია საბჭოთა კავშირის ყველა ოლქები და მაზრები. სოფლებიდან ჩამოსულ დელეგატთა რიცხვი შეადგენს 72 პროცენტს. ყრილობაზე ქალების რიცხვი უდრის 27 პროცენტს, სოციალური მდგომარეობით მუშები და გლეხები შეადგენენ 72 პროცენტს. უპარტიოები — 73 პროცენტს. ყრილობაზე წარმოდგენილია 49 ერი. საზოგადოებრივ მუშაობაში ჩაბმულია 95 პროცენტი, რაიც მოწმობს ყრილობის დელეგატების დიდ საზოგადოებრივ აქტიობას.

## ურთიერთობა მასწავლებლობასა და ახალგაზრდათა კომკავშირს შორის

### ამხ. ბუხარინის მოხსენება

„მასწავლებელს და საზოგადო მოღვაწეს ანათესავებს მათი მუშაობის ხასიათი. სოციალიზმის მშენებლობა შესდგება ორი ნაწილისაგან. პირველი — ახალ მატერიალურ და სამეურნეო ელემენტების შექმნა და მეორე — თვით ადამიანების გარდაქმნა. ორივე ეს ნაწილი ორგანიულადაა დაკავშირებული ერთმანეთთან.

ამ თვალსაზრისით შეიძლება ითქვას, რომ პოლიტიკურ მოღვაწეობას ამოცანას შეადგენს საზოგადოებრივ პედაგოგიური აღმზრდელობა.

ჩვეულებრივად ყოველ საზოგადოებრივ წესწყობილებაში სოციალური პედაგოგიკა ფართო მნიშვნელობით და პედაგოგიკა სიტყვის ვიწრო მნიშვნელობით (სასკოლო) ყოველთვის დაკავშირებულია ერთმანეთთან. ამ პედაგოგიკათა ერთმანეთისაგან დაშორება ყოველთვის ხდება საზოგადოებრივ გარდატეხის ხანაში. ასე მოხდა ჩვენში: სოციალური პედაგოგიკა ჩამოშორდა სასკოლოს.

ეხლა სდგება სასკოლო პედაგოგიკის შეგუება სოციალურთან.

გარდატეხის მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ პედაგოგიური მნიშვნელობა, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, შედის საერთო სისტემაში და ანაყოფიერებს სოციალურ პედაგოგიკას, რომლის ამოცანას შეადგენს მუშათა ფართო მასების გარდაქმნა ძმობის საფუძველზე.

### ჩვენი მოზარდი თაობა.

სოციალიზმს ჩვენ მივაღწევთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პარტიასა, მუშათა კლასსა და გლეხობას შორის უზრუნველყოფილი იქნება სწორი ურთიერთობა. მაგრამ არის მნიშვნელოვანი საკითხი; ეს არის საკითხი ჩვენ მოზარდ თაობის შესახებ, რომელ თაობასაც პირდაპირ ეხება სკოლის საკითხები. რათა უზრუნველყოფილი იქნას ადამიანთა მასების გარდაქმნა, საჭიროა სწორი ურთიერთობა მუშაობის ფორმებსა და მეთოდებს შორის სხვადასხვა ჰასაკის ჯგუფთა მიმართ.

ეს უკანასკნელი უნდა ჩამოვაყალიბოთ ასე: პარტია ხელმძღვანელობას უწევს მუშათა კლასს და მის რიგებში შესვლას უნდა გაუწიოს სასტიკი კანტროლი. პარტიას მოსდევს ახალგ. კომკავშირი. მასში შესასვლელი კარები უკვე უფრო ფართოდ შეიძლება გაიღოს, ვიდრე პარტიაში. პიონერთა ორგანიზაციაში კი შეიძლება მიღებულ იქნას ყველა საზოგადოებრივ ჯგუფების ბავშვები.

როდესაც გვექნება მატერიალური წინასწარ პირობები და მასწავლებლობის გარდაქმნა, მაშინ სკოლებში გაერთიანებული იქნება მთელი მოზარდი თაობა, მაშინ სასკოლო მუშაობის საქმე დაუკავშირდება მთელ პოლიტიკურ მუშაობას, სასკოლო ცხოვრება უფრო ინტიმიურად დაუკავშირდება საზოგადოებრივ ცხოვრების ყველა ფორმებს. აი ეს პერსპექტივა უნდა დავისახოთ და იმ მხრივ უნდა იქნას მიმართული ჩვენი ორიენტაცია.

### შრომის განაწილება.

ეხლა კი, საქმე სულ სხვაგვარად არის: არ შეიძლება იდეალური წარმოდგენები გადვიტანოთ თანამედროვე სინამდვილეში. უნდა ვსთქვა, რომ მასწავლებლობა ჯერ კიდევ არაა მზათ იდეალების განხორციელებისათვის. აქედან გამომდინარეობს მასწავლებლობასა და კომკავშირს შორის შრომის განაწილების პრობლემა, აქედანვე გამომდინარეობს მთელი რიგი სამწუხარო შეხლა-შემოხლა მათ შორის.

თუ ჩვენ გვინდა გვქონდეს გარანტია იმისა, რომ ვივლით სასურველი გზით, ჩვენ უნდა შემოვიღოთ შრომის განაწილება, ვინაიდან მასწავლებლობას არ შეუძლია ჯერ პოლიტიკურ ხელმძღვანელობაზე პრეტენზიების განცხადება.

### ბრძოლა გლეხობისათვის.

ჩვენ დღეს გვყავს სამი კლასი: მუშათა კლასი, გლეხობა და ახალი ბურჟუაზია, რომელიც ეს არის ისახება, და აგრეთვე სავაჭრო კაპიტალის ნაშთები. საკითხი მდგომარეობს იმაში, როგორი უნდა იყოს ურთიერთობა მათ შორის კომუნიზმის გამარჯვებამდე. მე შემიძლია ვსთქვა: იქნება გაფთრებული ბრძოლა გლეხობაზე გავლენის მოსაპოებლათ.

თუ კავშირი მოხდება მუშათა კლასის წინააღმდეგ, ეს მოასწავებს ჩვენი დასასრულის დასაწყისს. და, პირიქით, თუ დამყარდება გლეხობის კავშირი მუშათა კლასთან, მაშინ ჩვენ განვახორციელებთ იმას, რაც ჩვენ გვინდა განვახორციელოთ, მოვსპობთ განსხვავებას ქალაქსა და სოფელს შორის და ბოლოს მოუღებთ მათ შორის არსებულ უთანხმოებას.

### ახალგ. კომკავშირის უდიდესი როლი.

უნდა ითქვას, რომ შეცდომები სოციალურ პედაგოგიურ ფრონტის ამ ნაწილში ათჯერ უფრო მძიმეა, ვიდრე ქალაქში. სოფლად ყოველი შეცდომა მრავლდება თვით გლეხის კერძო საკუთრების ინსტინქტზე. ტყუილ უბრალოთ კი არ უთქვამს ჩვენ ყოფილ მეტერას — სავინკოვს, რომ ის ყველაზე მეტად დაარწმუნა ახალგ. კომკავშირმა.

ახალგ. კომკავშირის სწორი მუშაობა წარმოადგენს უდიდეს ისტორიულ ამოცანას. იგივე შეიძლება ითქვას პიონერთა მოძრაობის შესახებ. მასში ჩასახულია ძველი ყოფაცხოვრების დაშლის უძლიერესი მოლეკულიარული პროცესი. აქ არ შეიძლება შეცდომების დაშვება. ახალგ. კომკავშირს უნდა მიენიჭოს ახალგაზრდა პიონერების მოძრაობის ხელმძღვანელობა.

### უთანხმოება მასწავლებლობასა და ახ. კომკავშირს შორის

შემდეგ ბუხარინი ეხება უთანხმოებას მასწავლებლობასა და ახალგ. კომკავშირს შორის. ბევრ რამეში ის ბრალსა სდებს ახალგ. კომკავშირს, და აღნიშნავს, რომ კომკავშირი გადაჭარბებული კლასიური უნდობლობით უცქერის მასწავლებლობას, აგრეთვე აღნიშნავს კომკავშირელების კომუნისტურ ამპარტავნობას და ბევრ ცალკე შემთხვევაში ხულიგნობასაც კი. ყველაფერ ამას უნდა ვებრძოლოთ.

ეხება რა მასწავლებლობის როლს ამ შეხლა-შემოხლაში, ბუხარინი ამბობს, რომ იგი ნაწილობრივ დამნაშავეა იმიტომ, რომ ხშირად ის ვერ ხედავს ისტორიულ პროცესის გენერალურ ხაზს და სხვადასხვა ექსცესების და ხულიგნობის მიხედვით გამოჰყავს საერთო დასკვნა ახალგ. კომკავშირის ორგანიზაციის ხასიათის შესახებ.

### არ გამოგრჩეთ მთავარი

მიმართავს რა მასწავლებლობას ბუხარინი აცხადებს: „არ გამოუშვათ მხედველობიდან მთავარი, — ის, რომ მუშათა კლასი მტკიცე ნაბიჯით მიდის წინ. ნუ გაუშვებთ მხედველობიდან იმასაც, რომ ახალგ. კომკავშირი მიდის მუშათა კლასის მთავარ ხაზის მიმართულებით. თქვენ უნდა გაიგოთ პროპორცია კომკავშირის დადებით და უარყოფით მხარეებს შორის“.

### ახალგ. კომკავშირი მასწავლებლობის დამხმარე ძალაა

ახალგ. კომკავშირის მუშაობის სიმძიმის ცენტრს წარმოადგენს სკოლა. მასწავლებელი მასში არის ბატონპატრონი. ახალგ. კომკავშირი — მისი თანამშრომელია, რომელიც გავლენას ახდენს იდეოლოგიურად, ადმინისტრატიული ძალის გარეშე.

### გაუმარჯოს მჭიდრო კავშირს

ბუხარინმა დაასრულა თავისი სიტყვა შემდეგი სიტყვებით: „ჩქარა შემოდით ჩვენს ოჯახში. რაც უფრო შემჭიდროებული ვიქნებით, მით უფრო ჩქარა განვახორციელებთ ჩვენს დიად ამოცანას. გაუმარჯოს მასწავლებელს, რომელიც ითამაშებს უდიდეს როლს ქალაქის და სოფელს შორის კავშირის დამყარებაში, რომელიც მოსპობს განსხვავებას მათ შორის და წაგვიყვანს ჩვენ იმ საქმისაკენ, რომლისათვისაც მზად ვართ ყველანი შევეწიროთ“. (ხანგრძლივი ტაში).

## ახალგაზრდა მუშების მისალმება

ბუხარინის სიტყვის შემდეგ ყრილობამ მოისმინა წითელი პრესნის რაიონის 8.000 ახალგაზრდის მისალმება, რომელთაც განაცხადეს, რომ ისინი მზად არიან დახმარება გაუწიონ მასწავლებლობას მის ახალ მუშაობაში.

## ყრილობის მისალმებანი

შემდეგ ყრილობამ გაუგზავნა მიმართვები ახალგ. კომკავშირისა, სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს, განათლების მუშაკთა კავშირის ცეკას, წითელ არმიას, მთელი მსოფლიოს მასწავლებლობის პარიზის მასწავლებელთა ინტერნაციონალის და მაქსიმ გორკის.

უკანასკნელისადმი მიმართვაში ყრილობა ესალმება მწერალს და გამოსთქვამს ჩქარ გამომრთელების და საბჭოთა რუსეთში დაბრუნების სურვილს, რათა მასწავლებლობასთან ერთად კომპარტიის ხელმძღვანელობით მიიღოს აქტიური მუშაობა ქვეყნის კულტურულ აღორძინებაში.

## ახალგაზრდა ლენინელთა კომკავშირს

ყრილობის მიმართვაში ახალგ. კომკავშირისადმი ნათქვამია:

„ჩვენ მზად ვართ მჭიდრო თანამშრომლობა დავამყაროთ თქვენთან საბჭოთა მუშაობის გამოცოცხლების, კოოპერაციის განმტკიცების, საურთიერთო დახმარების კომიტეტების და გლეხობის პოლიტიკურ განვითარების საქმეში. ჩვენ თქვენთან ერთად ვართ და თქვენი დახმარებით ვიმუშავებთ სოფლის კულტურულ დონეს ასაწევად, მოზარდ თაობის და მოზრდილთა წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციით, სკოლების ქსელის გასაუმჯობესებლად და გასაფართოებლად, სასოფლო-სამეურნეო და კოოპერატიულ ცოდნის გასავრცელებლად. ჩვენ ყოველგვარ ზომებს მივიღებთ, რათა ყველგან დავამყაროთ საერთო პრაქტიკული მუშაობა თქვენს ორგანიზაციებთან“.

## წითელ არმიას და წითელ ფლოტს

მოსკოვი. 20 იანვ. მასწავლებლობის ყრილობის მიმართვაში წითელ არმიისა — წითელ ფლოტისადმი ნათქვამია:

„განსაკუთრებული სიხარულით და აღტაცებით ჩვენ თვალყურს ვადევნებთ წითელი არმიის გმირულ გამარჯვებას განათლებას ფრონტზე. მრავალი ათასი მუშა და გლეხი, რომელთაც გაიარეს წითელი არმიის სკოლა, ამჟამად არიან მოწინავე მებრძოლები სოფლად და ჩვენი თანაშემწენი მშრომელთა განათლების საქმეში.

რათა გავაადვილოთ თქვენი ძნელი და მრავალ ხრივი მომზადება წითელ არმიის რიგებში, ჩვენ გაძლევთ პირობას, რომ არმიის და ფლოტის რიგებში არ შემოვა არც ერთი წერა-კითხვის უცოდინარი. ჯარში [illegible] წერა-კითხვის უცოდინარობას ჩვენ ბოლოს მოვუღებთ მიმდინარე 1925 წელს.

ჩვენ სკოლას გადავაქცევთ მარტო საბჭოთა სახელმწიფოს მშენებელთა კერად, არამედ მთელი მსოფლიოს მშრომელთა განთავისუფლებისათვის მებრძოლთა მომზადებელ ბუდეთ, რომელ მებრძოლთაც შეეძლებათ ჩადგენ თქვენს ფოლადისებურ რიგებში მსოფლიო კაპიტალის წინააღმდეგ საბრძოლველათ.

წითელი არმიის მომავალ გამარჯვებისათვის მსოფლიო ბურჟუაზიაზე სახალხო მასწავლებელი გაილებს თავის წვლილს. გაუმარჯოს წითელ არმიას — ჩაგრულთა მფარველს და აჯანყებულთა მახვილს“.

## ყველა ქვეყნის მასწავლებლებისადმი

მოსკოვი. 19 იანვარი. ყველა ქვეყნების მასწავლებლებისადმი მიმართვაში ყრილობა საბჭოთა კავშირის 250,000 მასწავლებელთა სახელით, უგზავნის ყველა ქვეყნების მასწავლებელთა თავის ძმურ სალამს.

„ჩვენ, საბჭოთა კავშირის მასწავლებლები. დღეს მჭიდროთ ვართ დაკავშირებული მუშათა კლასთან და გლეხობასთან. მათი საქმე ჩვენი საქმეა, მათი ბრძოლა — ჩვენი ბრძოლა. საბჭოთა ხელისუფლება — ჩვენი ხელისუფლებაა. კომუნისტური პარტია — ჩვენი პარტია. ჩვენ ხალხთან, საბჭოთა ხელისუფლებასთან ერთად, კომუნისტურ პარტიის ხელმძღვანელობით ჩვენ ვაშენებთ ახალ ცხოვრებას, ახალ სკოლას.

ჩვენი სკოლა — საბჭოთა სკოლაა. ჩვენ მასში ვასწავლით ბავშვებს შეიცნონ ბუნების და ადამიანთა საზოგადოების განვითარების კანონები. ჩვენ ვასწავლით ბავშვებს კოლექტიურად მოაგვარონ თავიანთი შრომა და ცხოვრება, ჩვენ ვზრდით არა ვიწრო შოვინისტური და ეროვნული სიძულვილის ნიადაგზე, არამედ ყველა ხალხთა შრომის საჭიროების შეგნებით

ჩვენ ნაკლებად ვიყავით მომზადებული ჩვენზე დაკისრებულ ამოცანებისათვის და ჩვენ გადავიტანეთ დიდი ტანჯვა-წვალება. ეხლა ჩვენ მოგიწოდებთ თქვენ, ყველა ქვეყნების ამხანაგო მასწავლებლებო: „დადექით საერთაშორისო პროლეტარიატის მებრძოლ არმიის რიგებში. მჭიდროთ შეკავშირდით განათლების მუშაკთა ინტერნაციონალის გარშემო, ემზადეთ საპასუხისმგებლო როლისათვის, რომელსაც ახლო მომავალში ისტორია დაგაკისრებთ — საერთაშორისო პროლეტარიატის გამარჯვება ხომ აუცილებელია“.

გაუმარჯოს ყველა ქვეყნების მასწავლებელთა რევოლიუციონურ მთლიანობას მუშათა კლასთან.

გაუმარჯოს განათლების მუშაკთა საერთაშორისო კავშირს“.

## მასწავლებლობის დეკლარაცია

მოსკოვი. 18 იანვარი. ყრილობის მიერ მიღებულ დეკლარაციაში ნათქვამია:

„თვალს ვავლებთ რა განვლილ გზას, ჩვენ ეხლა ნათლად ვხედავთ, რაში მდგომარეობდა მთავარი შეცდომა, რომლიდანაც გამომდინარეობდა ყველა დანარჩენი შეცდომები. ეს შეცდომა მდგომარეობდა იმ ილიუზიაში, რომელიც ლენინმა ერთ-ერთ თავის დაუვიწყარ სიტყვაში მასწავლებელთა შესახებ, განსაზღვრა, როგორც ხალხის მოტყუება დემოკრატიის და თავისუფლების ლოზუნგებით. საზოგადოებრივ მოვლენებისადმი არ ყოფილა კლასიური მიდგომა და ეს იყო მთავარი წყარო იმისა, რომ მასწავლებლობის საუკეთესო ნაწილმა, რომელიც ყოველთვის ოცნებობდა მშრომელთა ნამდვილ ხელისუფლებაზე, ვერ იცნო ეს ხელისუფლება, როდესაც იგი წარმოიშვა მსოფლიო ომის და რევოლიუციის ქარცეცხლში, წარმოიშვა ოქტომბრის დღეების ქარიშხალში.

რევოლიუციის გასული წლების მსოფლიო-ისტორიულმა გამოცდილებამ აგვიხილა ჩვენ თვალები. ჩვენ გავიგეთ, რომ არ შეიძლება და არც იქნება დედამიწაზე მშვიდობიანობა და სამართლიანობა, სანამ არსებობს კლასებად დაყოფილი საზოგადოება. კიდევ უფრო მეტი, ჩვენ გავიგეთ, რომ არ არსებობს ახალი გზები სილატაკისა და ტანჯვების თავის დასახწევად, თუ არა რევოლიუციონურ ნგრევის გზა. ჩვენ გავიგეთ აგრეთვე, რომ ერთად ერთი კლასად, რომელიც ბოლომდის მიდის ამ ბრძოლაში, შეიძლება იყოს მხოლოდ მუშათა კლასი და მისი კოლექტიური კლასიური აზრი — კომუნისტური პარტია.

მასწავლებლობის სრულიად საკავშირო ყრილობა მთელი მსოფლიოს წინაშე აცხადებს, რომ მასწავლებლობა სავსებით იღებს კომუნისტურ პარტიის ხელმძღვანელობას და ამიერიდან თავისი და ამ პარტიის ამოცანები მიაჩნია საერთო ამოცანებად“.

## უკანასკნელი სხდომა

მოსკოვი. 19 იანვ. 17 იანვარს მასწავლებლობის სრულიად საკავშირო ყრილობამ დაამთავრა თავისი მუშაობა.

განათლების მუშაკთა კავშირის ცეკას თავმჯდომარემ კოროსტილიოვმა ყრილობის დახურვის დროს სთქვა:

„ყრილობის გადაწყვეტილებანი დაწვრილებით უნდა ეცნობოს არა მარტო მასწავლებლობას, არამედ მუშებს და გლეხებს. მე დარწმუნებული ვარ, რომ ეს ყრილობა ხელს შეუწყობს მასების ენერგიის და შემოქმედების განვითარებას. მასწავლებლობის ძალებით პარტიის და საბჭოთა ხელისუფლების დახმარებით დაიწყება მთელ ქვეყანაში ფართო კულტურული მშენებლობა, რომელიც ხელს შეუწყობს ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ გაფურჩქვნას“.

ყველანი ფეხზე დგებიან და იმღერიან „ინტერნაციონალს“.

## ყრილობის პოლიტიკური მნიშვნელობა

### საუბარი ამხ. ლუნაჩარსკისთან

მოსკოვი. 19 იანვარი. „როსტა“-ს წარმომადგენელთან საუბრის დროს სახალხო კომისარი ლუნაჩარსკი შეეხო ეხლახან დასრულებულ მასწავლებელთა საკავშირო ყრილობის პოლიტიკურ მნიშვნელობას და განაცხადა: „ყრილობამ უდიდესი კმაყოფილება აგრძნობინა ჩამოსულ მასწავლებლობას, განათლების სახალხო კომისარიატს, მთავრობას და პარტიას ყრილობამ დაგვანახვა რევოლიუციონური განწყობილების სიძლიერე მასწავლებლობის შორის. ყრილობამ დაამყარა მასწავლებლობასა და მთავრობას შორის უაღრესად რეალური კავშირი, რომელმაც მეტად კარგი გავლენა უნდა იქონიოს მასწავლებლის პედაგოგიურ და საზოგადოებრივ მოღვაწეობაზე. არ შეიძლება მწუხარება არ გამოვსთქვათ იმის გამო, რომ სხვა საკავშირო რესპუბლიკების განათლების სახალხო კომისარიატების წარმომადგენლები არ იყვნენ ყრილობაზე, სამაგიეროდ მასწავლებლობა შეიკრიბა საბჭოთა კავშირის ყოველი კუთხიდან, რის გამო ყრილობაზე მოხდა კიდევ ერთი სახელოვანი დაკავშირება: ყველა კუთხეების და ყველა ხალხების მასწავლებელთა ცოცხალი და მჭიდრო დაძმობილება.

აღნიშნავ რა საზოგადოთ დელეგატების პოლიტიკური და პედაგოგიური შეგნების დონის სიმაღლეს ეს განსაკუთრებით ხაზს უსვამ, რომ მასწავლებელმა ქალმა ამ ყრილობაზე მეტად მნიშვნელოვანი როლი ითამაშა. ისეთი ფაქტები, როგორიც არის თურქი მასწავლებელი ქალის მიერ შესანიშნავი სიტყვის წარმოთქმა ლენინის საფლავზე ან ორი მასწავლებელი ქალის მიერ თავმჯდომარეობის წყნარად და მოხერხებულად ჩატარება, — მოწმობენ იმას, რომ ეროვნულ უმრავლესობათა ქალები მიუხედავათ ქვეყნის კულტურულად ჩამორჩენილობისა გამოჰყავთ ასპარეზზე თვალსაჩინო საზოგადოებრივი და პედაგოგიური ძალები“.

საინფორმაციო-განყოფილების
კომპლექტი

# თბილისის საბჭოს პლენუმი

გუშინ, სალამოს წითელ თეატრში შესდგა თბ. საბჭოს პლენუმი, რომელზედაც მოხსენება გააკეთა ამხ. მესხმა

### ახალი ელმშენებლობისათვის სესხის აღების შესახებ

სესხის საკითხი, მომხსენებლის თქმით წამოიჭრა აღმასკომის წინაშე ზემო ავჭალის ჰიდრო სადგურის დამთავრებასთან დაკავშირებით, რადგან უნდა გადაკეთდეს სმ წარმოებების ელექტრო ძალით, მიმღები მანქანები რომლებიც ენერგიას მიიღებენ ზემო-ავჭალის სადგურიდან. ამ მიზნით საჭიროა 2,200,000 მან. აქედან თვით წარმოებებს შეუძლიათ გაიღონ 700,000 მან ხოლო დანარჩენი თანხა აღებული უნდა იქნას სესხათ ცენ. კომუნალურ ბანკიდან.

აღმასკომმა განიხილა რა აღნიშნული საკითხი, დაადგინა აიღოს სესხი 1,500,000 მან. 5 წლის ვადით პლენუმმა დაამტკიცა აღმასკომის დადგენილება.

### აღმასკომის ანგარიში

პლენუმმა მოისმინა ამხ. **სუხიშვილის** მოხსენება აღმასკომის და მისი ორგანოების მუშაობის შესახებ. მომხსენებელმა მოიყვანა შედარებითი სტატისტიკური ცხრილები, საიდანაც ჩანს რომ ყველა განყოფილებების მუშაობა საგრძნობლად გაუმჯობესდა. სუხიშვილის მოხსენების გადათარგმნა რუსულ ენაზე და კამათი მოხსენების შესახებ გადაიდო შემდეგი სხდომისათვის, რომელიც შესდგება 26 იანვარს.

# ა.-კ. წყალთა მეურნეობის მუშაკთა ყრილობა

### მეორე სხდომა

### მოხსენებები ადგილებიდან

მეორე სხდომაზე ყრილობა ისმენს მოხსენებებს ადგილებიდან. პირველად მოხსენებას აკეთებს ამხ. **ზაიცევი ყაზახის წყლის ოლქიდან.**

ოლქში არის 4 სარწყავი სისტემა, რომლის საერთო სიგრძე 30 ვერსს აღმატება. არხებს არ აქვთ რიგიანად მოწყობილი სათავეები, რაც მდინარეთა ადიდების დროს იწვევს დიდ ენერგიის ხარჯვას გლეხობის მხრივ, რომელთაც უხდებათ საწრაფო მუშაობა ზარალის თავიდან ასაცილებლად. ოლქში სულ ირწყვება — 47.494 დესტ., მოურწყავი რჩება — 25.749 დესტ. ითესება — 28.749 დეს. აქედან პურის ნათესებს უჭირავს — 28,053 დესტ. ბამბას — 2.848 დესტ. 1924 წ. გვალვიდან დაიღუპა — 14683 დაიღუპა დათესილი მოედანი. წყლის უქონლობას განიცდის ყველა სისტემები.

**ყარაიაზის რაიონიდან** მოხსენებას აკეთებს ამხ. **დულუხანოვი,** რომელიც აცნობს ყრილობას არხების უნუგეშო მდგომარეობას.

წყლის დენამ არხებში საგრძნობლად იკლო, რადგან როგორც მთავარი მარიინის არხი, ისე გამწესრიგებელი არხები ამოივსო სილით და სხვა ნალექით, რომლის სისქე ალაგ-ალაგ ნახევარ საჟენს აღწევს. არხები გაფუჭებულია აგრეთვე იმის გამო, რომ მათზე ატარებენ ჯოგებს, რომლის ნაკვლევზე წყალი გადადის ნათესს ყანებზე და გზებზე. კაპიტალურ რემონტს საჭიროებს არხების სათავეები და შლიუზები.

**ბორჩალოს მაზრიდან** მოხსენებას აკეთებს ამხ. **ხიზანოვი,** ბორჩალოში მელიორაციას დიდი ხნის ისტორია აქვს. მოსარწყავი არხების ქსელის საერთო სიგრძე უდრის — 350 ვერსს. ხოლო შტოებით — 600 ვერსს. მორწყული მიწის მოედნის სიგრძე უდრის — 30 ათასს დესეტინას.

სარწყავი რაიონი შეიცავს 4 უბანს. არც ერთ უბანში არ არის წყლის გამანაწილებელი არხები და შლიუზები. წყლით სარგებლობის წესები პრიმიტიულია. 1917 წლიდან წყლით სარგებლობაში და არხების მოვლის საქმეში იწყება სრული უწესრიგობა, რის გამოც წყლის დენა არხებში კლებულობს. 1923 წლიდან ბორჩალოს არხების გამგეობა გადავიდა ა|კ. წყალთა მეურნეობის სამმართველოს ხელში და არხებსაც ცოტა გაუმჯობესება დაეტყო. არხები აღდგენილ იქნა და შეიქნა მერაბთ თანამდებობა. მაგრამ საქმე სავსებით არ არის გამოსწორებული და მოითხოვს მთელს რიგს ახალ ღონისძიებებს.

**ინჟ. მიქელაძე,** რომელიც მოხსენებას აკეთებს ქუთაისის რაიონის შესახებ, ეხება ახლად გაყვანილ არხებს „მაშველს" და „პირველ საბჭოთა არხს", რომელიც მოეწყო ადგილობრივი აღმასკომების ინიციატივით და გლეხების უშუალო მონაწილეობით. „მაშველი" რწყავს 12 ათას დესეტინას. მორწყულ მოედნის 90 პროცენტს წარმოადგენს სიმინდის ყანები, 8 პრო. ბოსტნები და 2 პრო. ბამბა. პირველი საბჭოთა არხი გაიხსნება — 25 თებერვალს. იგი მორწყავს 6 ათასს დესეტინას. სვირის რაიონში მოქმედობს 3 არხი: აჯამეთის, ხოხოულის ქალების და დიმის არხები, რომელნიც გაყვანილი იქნა 1917 წ. შემდეგ. დიმის არხი რწყავს — 2000 დესეტ. ხოხოულის არხები — 2000 დესეტინს, აფხანაკურის და ვარციხის 300 დესეტ. დიმ-ჰოკეთის — 1200 დესეტინას. ხონი-წყლის რაიონი შეიცავს სამს სისტემას. კუხი-ხონის არხი რწყავს 1.700 დესეტ. მათხოჯის არხი — 2.000 დესეტ. აქავე რაიონში შენდება ჰიდრო-ელსადგურს. სამტრედიის რაიონში მოქმედობს კულაშ-ღანირის არხი, რომელიც რწყავს 3500 დესეტინას, და ეწერ-კულაშის, რომელითაც ირწყვის 2500 დესეტ. არც ერთს სისტემას არ აქვს რიგიანად მოწყობილი სათავეები. რაც ადგილობრივი გლეხობიდან მოითხოვს დიდ ენერგიას პალიატიური ზომების მისაღებად.

**აჭარისტანის** შესახებ მოხსენებით გამოდის ამხ. მელჯვიდოვი, რომელიც ხედავს წყალთა მეურნეობის უნუგეშო მდგომარეობის სურათს. არხები, რომელიც არსებობს ადგილობრივ, გაყვანილია ისტორიულ წარსულში ადგილობრივი მოსახლეობის მიერ და მოკლებულია ყოველგვარ გეგმიანობას არხებს აქვს დიდი დაქანება, რაც იწვევს დიდ ზარალს. ყოველწლიურად გლეხებს უხდებათ არხების შეკეთება, ა|კ. წყალთა სამმართველო არავითარ ხელმძღვანელობას არ უწევს. ძველი არხების სიგრძე უდრის სულ 100 ვერსს.

მოხსენებებს აკეთებენ აგრეთვე სომხეთის, აზერბეიჯანის რაიონების წარმომადგენელნი, რომელნიც აღნიშნავენ მოსარწყავი არხების მეტად ცუდ მდგომარეობას.

### მესამე სხდომა

### კამათი

მესამე სხდომაზე იმართება კამათი წაკითხულ მოხსენებათა გარშემო. ორატორები უმთავრესად ეხებიან ა.-კავკასიის წყალთა მეურნეობის სამმართველოს მუშაობას ყველა რესპუბლიკის წარმომადგენელნი ერთხმად ადასტურებენ, რომ სამმართველოს თავის მუშაობაში არ ჰქონია არავითარი სისტემა და გეგმიანობა. სამმართველო ხელს კიდებდა ახალ არხების და სისტემების გაყვანას მაშინ, როცა უკვე დიდი ხნით არსებული არხები საჭიროებდენ საჩქარო შეკეთებას და აღდგენას. ახალი სისტემების დაწყების დროს სამმართველოს არ ჰქონია საპერსპექტივო გეგმა და არც კონტაქტი წყლის მეურნეობით დაინტერესებულ ორგანოებთან. ორატორთა აზრით არხების გაყვანა აუცილებლად საჭიროებს გეგმის შეთანხმებას მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატის სხვადასხვა განყოფილებებთან საკმარისი არ არის მხოლოდ არხის გაყვანა, საჭიროა იგი სწარმოებდეს რაციონალურად. არხების გაყვანის გეგმა უნდა შეუთანხმდეს მიწით მოწყობას და აგრეთვე მეცნიერულ გამოკვლევებს იმის შესახებ, თუ რაოდენ წყალს საჭიროებს ამა თუ იმ ნიადაგზე ესა თუ ის კულტურა.

ამ თვალსაზრისით თუ მიუდგებით წყალთა მეურნეობის სამმართველოს მუშაობას, იგი სრულიად ვერ აკმაყოფილებს ელემენტარულ მოთხოვნილებას. წყალთა მეურნეობის საქმის წარმატებისათვის ორატორები ერთხმად მოითხოვენ, რომ ა|კ. წყალთა მეურნეობის სამმართველოს დღევანდელი სტრუქტურა შეცვლილ იქნეს და მას მიეკუთვნოს მხოლოდ სადირექტივო ფუნქციები.

### მეოთხე სხდომა

მეოთხე სხდომაზე ყრილობას უდგენენ რეზოლიუციებს ა|კ. წყალთა მეურნეობის სამმართველოს მუშაობის შესახებ. ზოგიერთი ორატორის აზრით, ყრილობა არ არის უფლებამოსილი, რომ მსჯავრი დასდოს სამმართველოს მუშაობას, რადგან ყრილობა არ არის საერთო ხასიათის, იგი უფრო საუწყებო თათბირია.

ამხ. **ბოგდანოვი** მოითხოვს, რომ ამა თუ იმ დელეგატის მოსაზრება გადაეცეს საგანგებოთ არჩეულ კომისიას, რომელიც განიხილავს რა წარდგენილ წინადადებას, საფუძვლად დაიდებს მომავალ სამუშაო გეგმას. ამხ. ბოგდატიევი იზიარებს იმ მოსაზრებას, რომ ყრილობას არ აქვს რეზოლიუციის გამოტანის უფლება, რადგან მასზე ყველა არ არის მოწვეული გადამწყვეტი ხმის უფლებით.

ყრილობის დელეგატთა უმრავლესობის მიერ მიღებულია წინადადება, რომ ყრილობამ გამოიტანოს სათანადო რეზოლიუცია. შემოდის 3 რეზოლიუცია. ყრილობა ხმის უმრავლესობით ღებულობს ამხანაგი **გაჯი-ყასუმოვის** მიერ წარმოდგენილს რეზოლიუციას.

# ყრილობის რეზოლიუცია ა.-კ. წყალთა მეურნეობის სამმართველოს მუშაობის შესახებ

მიღებული რეზოლიუცია, სხვათა შორის აღნიშნავს შემდეგს: ის მუშაობა, რომელიც ამ 2—3 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა ა|კ. წყალ. მეურ. სამმართველოს ხელმძღვანელობით, სწარმოებდა მტკიცე გეგმის და წყლის მეურნეობის დაინტერესებულ ორგანოებთან შეთანხმების გარეშე (რესპუბლიკების მიწადმოქ. შინაგან საქმეთა სახ. კომისარიატების, უმაღლეს ეკონომიურ საბჭოების გარეშე). ყრილობა ღებულობს რა მხედველობაში გლეხობის და დაინტერესებულ ორგანოების დაუსრულებელ საყვედურს სამმართველოს მოქმედების შესახებ, ადგენს: წყლით სარგებლობის და სამელიორაციო საქმის ნაციონალურად დასაყენებლათ რესპუბლიკებში, და იმ მეურნეობის სათანადო სიმაღლეზე ასაყვანად, რომელსაც რესპუბლიკებისათვის დიდი ეკონომიური მნიშვნელობა აქვს, მოწყობილ იქნას რესპუბლიკათა წყლის მეურნეობის სამმართველოები ოპერატიული და საგეგმო ფუნქციებით, ხოლო ა.-კ. წყალთა მეურნეობის სამმართველოს კი მიეცეს მხოლოდ სადირექტივო დანიშნულება.

რეზოლიუციის მიღების შემდეგ ყრილობა ისმენს ამხ. კონდრატიევის მოხსენებას წყლით სარგებლობის შესახებ.

# პროფკავშირებში

## პროფკავშირთა წევრების ხელახალი რეგისტრაცია

### დებულება

### პროფკავშირთა წევრების ხელახალი რეგისტრაციის შესახებ

1. პროფკავშირთა წევრების ხელახალი რეგისტრაციის მიზანია კავშირის წევრთა სწორი რაოდენობის გამორკვევა, კავშირის წევრთა და კავშირის ურთიერთშორის დამოკიდებულების შემოწმება და გარკვევა, თუ რამდენათ კეთილსინდისიერად ასრულებენ კავშირის წევრები საკავშირო ვალდებულებებს.

2. ხელახალი რეგისტრაცია გამოყენებული უნდა იქნეს იმ ელემენტების გასაწმენდათ კავშირიდან, რომლებიც სოციალური მხრივ არ ეგუებიან კავშირს და შემთხვევით მოხვედრილნი არიან კავშირში.

3. ყველა კავშირის წევრი გამოუკლებლივ უნდა გატარდეს რეგისტრაციაში.

4. ხელახალ რეგისტრაციას ახდენენ პროფორგანიზაციები: ცენტრალური გამგეობები, კავშირების სამაზრო განყოფილებები და სამაზრო ადგილკომები.

5. ხელახალი რეგისტრაციის ხელმძღვანელათ კავშირების ცენტრალური გამგეობები და სამაზრო განყოფილებები და სამაზრო ადგილკომები გამოყოფენ 3—5 კაცისაგან შემდგარ კომისიას.

6. ხელახალ რეგისტრაციას აწარმოებს კავშირის აპარატი, რომელიც რეგისტრაციისათვის გამოყოფილ კომისიის ხელმძღვანელობით მუშაობს. კომისია იხმარს ამ სამუშაოსთვის ფაბ-ქარხადგილკომებს.

6. ხელახალი რეგისტრაციის დროს განსაკუთრებული ანკეტების შევსება არაა საჭირო. შემოწმება ხდება ძველი სარეგისტრაციო ბარათით, რომელიც უნდა შეიცვალოს ახლით. საწევრო წიგნაკები არ უნდა იქნეს გამოცვლილი, ძველ საწევრო წიგნაკზე უნდა აღინიშნოს განსაკუთრებული ნიშნით კავშირის წევრის ხელახალი რეგისტრაციის შესახებ და საწევრო წიგნაკზე დაისვას ახალი ნომერი.

8. კომისია ადგენს კალენდრულ ნუსხას ფაბრიკა-ქარხნებში, ადგილობრივ კომიტეტებში და ჯგუფ-უმუშევართა რეგისტრაციის შესახებ. ხელახალი რეგისტრაციისთვის დანიშნულ დღეს ფაბ.-ქარხკომიტეტებმა და ადგილკომებმა უნდა შეაგროვონ წიგნაკები კავშირის ყველა იმ წევრებისა, რომლებსაც თვითონ აერთიანებენ და წარუდგინონ თავის დროზე სამაზრო ადგილკომს ან კავშირის სამაზრო განყოფილებას, ტფილისში კი კავშირის ცენტრალურ გამგეობებს. დიდ წარმოებებში ხელახალი რეგისტრაცია უნდა გატარდეს ადგილობრივ.

10. საკავშირთაშორისო ორგანოები ხელახალ რეგისტრაციაში უშუალო მონაწილეობას არ იღებენ, ხოლო ისინი კომისიას უწევენ საერთო ხელმძღვანელობას ინსტრუქციის მიცემით და სხვა.

10. კავშირების სამაზრო განყოფილებებისა და სამაზრო ადგილკომების გადაწყვეტილება შეს-ძლებელია გასაჩივრებულ იქნეს ერთი თვის განმავლობაში კავშირების ცენტრალურ გამგეობაში; კავშირების ცენტრალურ გამგეობის გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ორი კვირის ვადაში საქართველოს პროფკავშირთა საბჭოში. ს. პ. კ. ს. გადაწყვეტილება ითვლება საბოლოოდ.

11. კავშირის წევრები, რომლებსაც სამი თვის განმავლობაში შეტანილი არ აქვთ საწევრო გადასახადი (თუ საპატიო მიზეზი არ ექნათ), ითვლებიან გამორიცხულათ თავის ვათად (მექანიკურათ).

კავშირებში შემთხვევით მოხვედრილი ელემენტები, რომლებიც მუშათა კლასისათვის სოციალური მხრივ შეუგუებელნი არიან (მაგალითად: ხელმწიფის დროს აქტიური მოსამსახურეები, ვისაც კერძო საკუთრება აქვს და ამ საკუთრებიდან შემოსავალი აქვს უშრომლათ, ეწევა სხვისი შრომის ექსპლოატაციას და სხვა) უნდა იქნას გამორიცხული კავშირიდან.

12. ხელახალი რეგისტრაციის დროს ახალი წევრების მიღება კავშირებში შეწყვეტილი უნდა იქნეს.

13. ხელახალი რეგისტრაცია ყველა კავშირებში უნდა დაიწყოს ერთ და იმავე დროს და გათავდეს ერთი თვის განმავლობაში.

14. კავშირების ყველა ცენტრალურმა გამგეობებმა თავიანთ წევრების სარეგისტრაციოთ უნდა შეიმუშაონ ინსტრუქციები.

საქ. პროფ. კავშირთა საბჭოს პას. მგებ. მდივნის მაგიერ **ნ. ათოევი.**

საქ. პროფ. კავშირთა საბჭოს საორგ. განყოფილების გამგის მოადგილე **მ. მარკმანი.**

საქ. პროფ. კავშირთა საბჭოს საორგანიზაციო განყოფილების მდივანი **ლვინეფაძე**

### ინსტრუქცია

### კავშირის წევრთა ხელახალი რეგისტრაციისათვის

1. ხელახალი რეგისტრაცია სწარმოებს კავშირის აპარატით, ამ საქმისათვის გამოყოფილ სპეციალური კომისიის ხელმძღვანელობის ქვეშ (იხ. ხელახალი რეგისტრაციის დებულების მე-6 მუხლი).

2. ხელახალი რეგისტრაცია, როგორც საერთო წესი, უნდა მოხდეს ამა თუ იმ ალაგის უმაღლეს პროფესიონალური ორგანოსთან (ცენტრ. გამგ. სამაზრო განყოფილებასთან ან სამაზრო ადგილკომთან). გამონაკლის შემთხვევაში ხელახალი რეგისტრაცია შესაძლებელია დაშვებული იქნეს ფაბრიკაში, ქარხანაში ან წარმოებაში უშუალოდ.

3. ხელახალი რეგისტრაციის დროს, ალაგსა და წესს აწესებს რეგისტრაციისათვის გამოყოფილი კომისია.

4. კომისიამ წინასწარ უნდა შეატყობინოს ფაბრიკა-ქარხნებს და ადგილობრივ კომიტეტებს მომავალი რეგისტრაციის დრო და ადგილი.

5. ფაბრიკა-ქარხნებისა და ადგილობრივმა კომიტეტებმა იმ წევრებს, რომლებსაც თვითონ აერთიანებენ წინასწარ უნდა შეატყობინონ მომავალი ხელახალი რეგისტრაციის დანიშვნის დრო, საათი და ადგილი და დანიშნულ ალაგას და დროს გამოცხადდენ თავიანთი წევრებით და საჭირო მასალებით (აცილება კავშირიდან (ოტვოდ), საწევრო ანარიცხების დროზე შემოუტანლობის მიზეზები, თავიანთი წევრების სია და სხვ.).

6. იმ ალაგას, სადაც ხდება ხელახალი რეგისტრაცია კავშირმა უნდა მოიტანოს ძველი ყველა სარეგისტრაციო ბარათები იმ კავშირის წევრთა, რომლებიც უნდა გატარდენ რეგისტრაციაში ხელახლად.

7. ხელახლად რეგისტრაციაში გატარების დროს კავშირის ყველა წევრს თან უნდა ჰქონდეს თავისი საწევრო წიგნაკი.

შენიშვნა: ამ მუხლით იცვლება ხელახალი რეგისტრაციის დებულების მე-8 მუხლი.

8 ხელახალი ლა რეგისტრაციის წარმოების დროს კომისია გულდასმით ამოწმებს ძველ სარეგისტრაციო ბარათს, საწევრო წიგნაკს და შეკითხვებს აძლევს იმ პირს, რომელიც ტარდება რეგისტრაციაში, მისი კავშირისადმი დამოკიდებულების, საკავშირო მოვალეობისა და სოციალური მდგომარეობის და სხვ. გამოსარკვევად.

შენიშვნა: ახალი სარეგისტრაციო ბარათის მუხლებზე 9, 12, 14 და 16 აუცილებელია სწორი პასუხის მიღება და იმ მუხლებზედაც, რომელზე ძველ ბარათში პასუხი გამოტოვებულია ან და გაურკვეველია.

9. თითოეული წევრის შემოწმების შემდეგ მის ძველს სარეგისტრაციო ბარათზე უნდა აღინიშნოს: „დამტკიცებულია" (თუ მას სტოვებენ კავშირში), „გამორიცხულია" (თუ წევრი გამორიცხულია), „გამოვიდა თავისთავად" (თუ გამოვიდა მექანიკურად) „გამოსარკვევად" (თუ საჭიროა გამორკვევა).

10. ხელახალ რეგისტრაციაში გავლის დროს კავშირის წევრებს საწევრო წიგნაკი ერთმევათ და არა უგვიანეს სამი დღისა, იმ კავშირის წევრებს, რომელმაც გაიარეს რეგისტრაციაში, თავიანთ ფაბრიკა-ქარხნისა და ადგილობრივი კომიტეტის საშუალებით წიგნაკები უკან უბრუნდებათ ნიშნით: „გატარებულია ხელახალი რეგისტრაციაში". წიგნაკებზე წითელი მელნით უნდა წაიშალოს ძველი ნუმერი და დაისვას ახალი.

11. ხელ-ახალ რეგისტრაციაზე თუ კავშირის წევრი არ გამოცხადდება და ამის შესახებ საპატიო მიზეზი არ ექნება, ითვლება გამორიცხულად თავისთავად (მექანიკურათ).

12. ერთეულები და უმუშევრები ხელახალ რეგისტრაციაში ტარდებიან საერთო წესით ამ ინსტრუქციის მე-3 მუხლის თანახმად.

13. ს. პ. კ. ს. კულტგანყოფილების მიერ შემუშავებულ ანკეტის მიხედვით ხელახალი რეგისტრაციასთან ერთად უნდა გამოირკვეს თითოეული კავშირის წევრის წერა-კითხვის ცოდნის დონე.

14. ამა თუ იმ წარმოება-დაწესებულებაში მომუშავე კავშირის წევრის მუშა-მოსამსახურის ხელახალი რეგისტრაციის შემდეგ, შედგენილი უნდა იქნეს ცნობის უწყება შემდეგი ფორმით:

| №№ | რეგისტრაციაში გატარებულის გვარი, სახელი, მამის სახელი. | ხელახალი რეგისტრაციის შედეგები. | გამორიცხვის მიზეზი | დავალიანება კავშირისადმი. | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|---|
|  |  |  |  |  |  |

15. მე-14 მუხლში აღნიშნული უწყების ერთი ცალი რჩება კავშირში და თითო ცალი ეგზავნება შესაბამ ადგილკომსა და კავშირის ცენტრალურ გამგეობას.

16. ხელახალი რეგისტრაცია უნდა სწარმოებდეს არა სამუშაო დროს.

17. ამ ინსტრუქციის დამატებითი ინსტრუქცია უნდა გამომუშავდეს კავშირების ცენტრალურ გამგეობების მიერ ამა თუ იმ კავშირის სპეციფიური სხვადასხვაობის მიხედვით.

საქ. პროფკავშ. საბჭ. პასუხისმგებელი მდივანი **გ. უურულაშვილი.**

საქ. პროფკავშ. საბჭ. საორგ. განყ. გამგის მოადგ. **მ. მარკმანი.**

საქ. პროფკავშ. საბჭ. საორგ. განყ. მდივანი **ლვინეფაძე.**

# ქარბუქი რკინისგზებზე

### მდგომარეობა რკინისგზებზე

გუშინწინ დღით, ღამით და გუშინ სალამომდე ამიერ-კავკასიის რკინის-გზების ზოგიერთ რაიონებში მძვინვარებდა ძლიერი ქარბუქი, რამაც გამოიწვია მიმოსვლის შეჩერება.

18 იანვარს, დღის 5 საათზე მეტეხ-კასპის ხაზზე **საშინელი ქარბუქი ამოვარდა. გზა ჩქარა დაიფარა თოვლით და მოძრაობა შესწყდა.** გამოსული მატარებლები შეჩერდენ გზაში.

გაიგზავნა თოვლის მწმენდელი და ღამით გზა გაწმენდილ იქნა დიდი გაჭირვებით, მოძრაობა აღდგენილია.

ულელტეხილის ხაზზე, — განსაკუთრებით ხაშურლიხის უბანში მძვინვარებს განუწყვეტლივ ქარბუქი. მოძრაობა სწარმოებს თოვლის მწმენდელის შემწეობით. სურამის შტო თოვლითაა დაფარული და მოძრაობა მასზე გუშინდლამდე სრულებით არ ყოფილა.

წინადღით თოვლით დაფარული ბორჯომის შტო გაწმენდილია და მოძრაობა მასზე აღდგენილია.

18 იანვარს, დღის 3 საათზე დაიწყო ქარბუქი კახეთის ხაზზედაც. თოვლში ჩაეფლო სამგზავრო-საბარგო მატარებელი. კახეთის ხაზი გაწმენდილ იქნა მხოლოდ გუშინ დილით.

### მგლების თავდასხმა გორში

(სალამოს ცნობა)

გუშინ სალამოს რედაქციამ მიიღო შემდეგი ცნობები გორის, ხაშურის, სურამის, ბორჯომის და სხვა ადგილების შესახებ.

გუშინ დილით გორში განუწყვეტლივ სთოვდა. შუადღისას თოვლის სისქემ მიაღწია ერთ არშინს. ნახევარი საათით შეჩერების შემდეგ ისევ დაიწყო თოვა.

სალამომდე მოთოვა ორ არშინამდე. ქალაქში სიარული დიდ სიძნელეს წარმოადგენდა. მცხოვრებლები შეუდგენ ქუჩების დაჩქარებით გაწმენდას.

ქალაქის სხვადასხვა ადგილებში გაჩნდენ მგლების ხროვა. მათ წინააღმდეგ საბრძოლველად მოეწყო მილიციელთა რაზმები. მოკლულია 5 მგელი.

### ბორჯომისკენ მოძრაობა შეწყდა.

(სალამოს ცნობა)

დიდი ქარბუქის გამო რკინისგზის მოძრაობა ბორჯომისკენ შეჩერდა. ხაშურიდან გასული საბარგო მატარებელი უკანვე დაბრუნდა.

### მგლები ჭიათურაში

(სალამოს ცნობა)

ამ დღეებში ისევ მოვიდა დიდი თოვლი. ქალაქში რამოდენიმეჯერ შემჩნეულ იქნენ მგლები. მონადირეთა კავშირმა მოაწყო ნადირობა.

# ქრონიკა

### შორეული მიწის ძვრა

ამა წლის 18 იანვარს 15 საათზე 16 წუთზე (ნაშუადღევის 3 საათზე და 16 წ.) საქართველოს გეოფიზიკური ობსერვატორიის სეისმოგრაფების მიერ აღნიშნულია შორეული საკმაოდ ძლიერი მიწის ძვრა. ეპიცენტრალური მანძილი თბილისიდან უდრის 7900 კილომეტრს. მიწის ძვრის კერა ალბათ მდებარეობს აღმოსავლეთ აზიის კუნძულებზე.

—

— **კავკასიის ოროგრაფიული რუკა.** საქართველოს გეოგრაფიულმა საზოგადოებამ გამოსცა სასწავლო რუკათა 1 სერიიდან № 1 — „კავკასიის ოროგრაფიული რუკა" მასშტაბით: 1 სანტიმ. = 18 კილომეტრს. ეს რუკა ხუთფერადიანი და შემუშავებულია ქართული სკოლებისთვის. მოკლე ხანში საზოგადოება გამოუშვებს № 2 — „კავკასიის ჰიფსომეტრიულ რუკას" იმავე მასშტაბისას, მხოლოდ თორმეტფერადიანს.

— **სოც. დაზღვევის სამმართველოს** კოლეგიამ დაადგინა შავი ზღვის წყლოსნები უშუალოდ დაუკავშიროს რესპ. სოც. დაზღვევის სამმართველოს.

— **საექიმო საქმის დასათვალიერებლად.** სოც. დაზღვევის სამმართველომ დაავალა მიავლინოს აჭარა და ფოთში ამხ. ჯ. ხუტულაშვილი საექიმო ქ. | განყოფილებების საქმეების მოსაგვარებლათ.

— **მოჯამაგირეთა დაზღვევა.** სოც. დაზღვევის სამმართველომ დაადგინა შეისწავლოს ქუთაისის მაზრაში მოჯამაგირეთა მდგომარეობა და მიიღოს ზომები მათ დასაზღვევათ.

— **შრ. სახ. კომისარიატმა** გადაუწყვიტა აფხაზეთის შრ. ინსპექტორებს გადაუგზავნოს შრომის საკითხებზე შედგენილი წიგნები და მასალები.

— **პლაკატების დამზადება.** მიწად-მოქ. სახ. კომისარიატმა დაამზადა პლაკატები, სადაც დახატული და აღწერილია ერთი მხრით ფილოქსერით დაავადმყოფებული ვაზი, და მეორე მხრივ გაჯანსაღებული ნამყენი ვაზი.

— **შრომის ბაზრის** განყოფილებას დაევალა შეადგინოს რესპუბლიკის ბირჟების 9 თვის ანგარიში.

— **ბამბის დათესვა.** ა—კ. მებამბეობის კომიტეტი ბორჩალოს მაზრაში წელს დათესავს ბამბას 2 ათას დესეტინა მიწაზე.

— **წარმოების მუშაობის ნაყოფიერების ზრდა.** ქ. აღმასკომის სტატისტიკურ განყოფილების ცნობით ელექტრო-სადგურების სამმართველოს ელსადგურების მუშაობის ნაყოფიერება დღითი დღე იზრდება. გასულ წელს დეკემბერში დამუშავებული იქნა 266,942 კილოუატი საათი, ე. ი. 23,000 კილოუატი მეტი ნოემბერთან შედარებით.

— **ქალაქის აღმასკომმა** ქალაქის პირველ საფეხურის სკოლებისათვის მიმდინარე სამოსწავლო წლისათვის გადასდო 224,350 მან.

— **ტრამვაის მუშაობა.** დეკემბერში ტრამვაის ყველა ვაგონებმა გააკეთეს 36,606 ბრუნვა, საერთო ბრუნვის სიგრძე უდრის 274,606 კილომეტრს.

— **ხილა ტრამვაისათვის.** ტრამვაის დირექციამ დაამზადა 100 კუბიკური საჟენი ქვიშა ტრამვაის ლიანდაგების საჭიროებისათვის.

— **წყალი ქალაქისათვის.** წყალსადენის მიერ დეკემბერში აღრიცხული გაცემული წყალის 27,604,312 ვედრო, აქედან ქალაქმა მიიღო 80,5 პროც.

— **დახმარების გადიდება მშობიარეთ.** დამზღვევ კასამ 1 იანვრიდან 16 მან. გაუდიდა დახმარება მშობიარეთ,

— **თბ. დამზღვევ კასის** თავმჯდომარეთ აირჩიეს ამხ. კ. ცომაია, მოადგილეთ ამხ. არჩვაძე.

— **ხელფასის გადიდება.** საქ. უმაღ. ეკ. საბჭომ შრ. კომისარიატს გადასცა მოსაწესრიგებლად წნორის წყალში მომუშავე ცეკავშირი თანამშრომლების ჯამაგირების გადიდების საკითხი.

— **შრომის ბაზრის მდგომარეობის** და მუშა-ხელის მიწოდება-მოთხოვნილების მოსაწესრიგებლათ შრ. კომისარიატმა ქალაქი გაყო 4 რაიონად და ყველა რაიონში დანიშნა აგენტები.

— **საქ. უმაღ. ეკ. საბჭომ** დაამტკიცა კოოპერატიულ სტატისტიკის ბიუროს დებულების პროექტი.

— **კიოსკების გაცემა.** სოც. უზრ. კომისარიატმა გადასწყვიტა თავის განკარგულებაში მქონე კიოსკები გადასცეს დაჭრილ-დაავადმყოფებულ წითელ-არმიელთა დამხმარე საზოგადოებას.

— **სასოფლო-სამეურნეო ბანკის** მმართველს საქ. უმაღ. ეკ. საბჭომ წინადადება მისცა შეადგინოს ბანკის საბჭოს წევრთა სია და წარადგინოს დასამტკიცებლათ.

— **სასოფლო-სამეურნეო მანქანები.** ა—კ. საგარეო ვაჭრობის კომისარიატმა საზღვარ გარეთ შეიძინა 200 ცალი სათიბი იარაღი.

— **მუდმივი წარმომადგენელი.** გადაზიდვის მომწესრიგებელ ადგილობრივ კომიტეტში საქ უმაღ. ეკ. საბჭოს მუდმივ წარმომადგენლათ დაინიშნა ამხ. ჟოჟიკაშვილი.

— **კედლების გაზეთების გამოფენა.** კვირას წითელ-არმიელთა კლუბში გაიხსნა, ჯარის ნაწილებში არსებულ კედლების გაზეთების გამოფენა. შესვლა — 10—1 საათამდე და 4—6 საათ.

— **ფიზიო-ტერაპეტიულ ინსტიტუტში** დაიწყო ავადმყოფების ელექტრონით აქიმობა.

### შემთხვევები:

### კონტრაბანდისტის შეპყრობა

გუშინ სალამოს სისხლის სამართლის მილიციამ ეკატერინეს ქუჩაზე სახლი № 11 დააპატიმრა არტაშეს აზარიანცი. რომელსაც ბინაზე აღმოუჩინეს თამბაქოს დასაჭრელი მანქანა. როგორც გამოირკვა, აზარიანცმა თამბაქოს ქარხანა „შვიდი მნათობი"-დან მისი დათხოვის შემდეგ დაიწყო უაქციზო თამბაქოს ვაჭრობა. თამბაქოს დასამზადებლათ შეიძინა სათანადო მოწყობილობაც. დღეში ის 20—30 ფუთ თამბაქოს უშვებდა ბაზარზე. აზარიანცი არც სხვა საკონტრაბანდო საქონლით ვაჭრობას ერიდებოდა. მისვე ბინაზე აღმოჩენილი იქნა 2 ნახ. ფუთი კაკაო, 3 ხალიჩა და სხვა ნივთები, რომელიც გადაიგზავნა საააქციზო სამმართველოში.

### გაუსწორებელი ქურდის შეპყრობა

გუშინ სალამოს მილიციამ დააპატიმრა გაუსწორებელი ქურდი სოროკინი სახელწოდებით „კეპა". მას ბრალად ედება 20 მეტი დიდი ქურდობა. დაპატიმრებულს თან აღმოაჩნდა დიდძალი საოჯახო ნივთები.

— ცეცხლი. 17 იანვარს, სალამოს 5 საათზე, რუსთაველის პრ. № 22 ცეკას შენობას გაუჩნდა ცეცხლი, რომელიც ჩაქრობილი იქნა ცეცხლის მქრობელ რაზმისაგან. ზარალი უმნიშვნელოა.

— 17 იანვარს, შუადღის 12 საათზე, კათოლიკეს ქ. № 13, აგარ აქიმოვის სახლს გაუჩნდა ცეცხლი, რომელიც ჩააქრო ცეცხლის მქრობელმა რაზმმა. ზარალი არ არის.

— დაჯახება. 17 იანვარს, დღის 3 საათზე, ვერის ხიდზე სახელმწიფო კინომრეწველობის ავტომობილი № 16, დაეჯახა მოქ. ვასილ ქარბაძეს, რომელიც დაშავებული იქნა თავში. შოფერი შეიპყრეს.

— გვამის აღმოჩენა. 17 იანვარს, დილის 11 საათზე, კოლონიის ქ. № 4 თავის ბინაზე აღმოჩენილი იქნა მოქ. რომან ბოიჩენკოს გვამი. გარდაიცვალა თუ მოკლეს არ იციან. ძიება სწარმოებს.

— თვითმკვლელობა. 18 იანვარს, სალამოს 6 საათზე, კამოს ქ. № 76 რუსული სამააზიანი შაშხანა თოფით თავი მოიკლა კირილე სიმონოვმა. გვამი გადაიგზავნა რესპუბლიკის მთავარ საავადმყოფოში. მიზეზი თვითმკვლელობის გამოურკვეველია.

— ქურდობა. 18 იანვარს, სალამოს 8 საათზე, მე-66 ცხენოსან საკომანდო შენობაში გაქურდეს იარაღების საწყობის გამგის ხერგო რომანოვის ოთახი, წაღებულია რევოლვერი, „ნაგანი", 400 მან. ნივთები.

— 17 იანვარს დღით, ნიკოლოზის ქ. 73 მორგებული გასაღების საშუალებით გაქურდეს დავით კაკაბიძის ბინა. წაიღეს 25 მან. ნივთები.

— ამავე დღეს, სალამოს 9 საათზე, კირკის ქ. № 17, გაქურდეს ივანე იოსებაშვილის ბინა. წაიღეს სულ 120 მან. ნივთები.

# ჩვენი სოფლის ჭირ-ვარამი

### გორის მაზრა სოფელ სასირეთში რა ხდება*)

გთხოვთ, რო ყურადღება მიაქციოთ აქაურ საბჭოს ხუთ ამორჩეულ კაცსა, რომლებიც მუცლისტები არიან და არა საბჭოს ხალხი. რომელიმე შეძლებული გლეხი დაუძახებს ამათგან ერთ-ერთს და ეტყვის ამაღამ ვახშმათ მობრძანდითო ჩემთან დაუზარებლივ ხუთივე მზათ არიან გაძღებიან და დათვრებიან ეს ვაჟბატონები და რასაც სთხოვს ეს გლეხი ჰოპატიჟე მეორე ან მესამე დღესვე მზათ არის საწყალ გლეხს ართმევენ მამულს და შეძლებულს აძლევენ, რადგანაც იმისგან მოელოდებიან ბევრჯელ დათრობას. ამნაირი მაგალითები ბევრი გააკეთეს. ეკითხება საწყალი გლეხი რად მომეცით რაღათ ჩამამართვითო. ამათი პასუხი ეს არის შენ ვერ უვლიო მაშინ ეს გლეხი დააპირებს წასვლას. ახალქალაქის თავმჯდომარესთან საჩივლელათ მანამ ეს საწყალი გლეხი ქაღალდს დამწერს იშოვის. მანამ უკვე მიდის საბჭოს ორი კაცი თავმჯდომარესთან და უცხადებს ამა და ამ გვარს ჩამოვართვით და ამ გვარს მივეცითო. თუ შეეკითხა რათა საბაბს მალე მოიგონებენ. იმას ეკუთვნის დასახელებული მამული და ამას კი არაო. თავმჯდომარე ეუბნება თქვენ შიგ სოფელში ცხოვრობთ თქვენ უკეთ იცით ვისაკ ეკუთვნის და ვისაც არაო ამ სასიამოვნო პასუხით ამ მუცლისტებმა ისარგებლეს ამნაირად ბევრის ოჯახი დალუპეს და ბევრს მამულზე მამული მიუმატეს. მოვლენ ორი სამი კაცი თავრობისა რო გაიგონ სოფელში ცხოვრებლების გლეხთა პირ ვარამი მაიკითხამენ სოფლის ამორჩეულ პირებსა მაშივე გაჩდებიან ეს ვაჟბატონები ამ ხალხის წინაშე. რასაკვირველია სოფელი ეკითხება ვინ მოსულა და რა ამბავია: არაფერი პარტიელებს ეძახიანო. სოფელიც უკან დგება. მაშივე ეს ვაჟბატონები მიმართავენ თავრობის ხალხსა წინადადებით სოფელი რო მოგროვდეს არ მისცეთ ნება კერძო საკუთრებაზე საჩივარი ამიტომ რო ამოდენა ყაყანი გაიმართება თქვენ ველარას გაიგებთ სოფლის საჭიროებას. აქაც ამათ ატყუებენ დაირეკება ზარები მოგროვდება ქალი და კაცი ყველას თითო რამე აქვსთ სათქმელი. ამაარჩევენ მდივანს და თავმჯდომარეს გაიხსნება კრება მაშივე გამოუცხადებენ ხალხსა რო კერძო საკუთრებაზე არ შეიძლებაო. ვისაც ლაპარაკი გსურთ ილაპარაკეთ ხოლოთ საერთოთ სოფელს შეხებოდესო მაშივე ხალხი ძალაუნებურათ უკან დგებიან: წამოდგება ერთ-ერთი ამ მუცლისტებისაგან და დაიწყობს ლაპარაკს ტყის ბარათი ძვირიაო წყაროს გამოყვანა გვინდაო და დახმარება გაგვიწიეთო მკოლას პაჩინკა უნდაო... დიდი ზარალი მოგვაყენაო სულ წაღეკა მოსავალიო და ამით რჩება და თავდება კრება. საწყალი გლეხობა კი რჩებიან გულ-ხელ დაკრეფილი.

**ვყვირი მე**

—

კორესპონდენცია სათაურით: „გორის მაზრა სოფელ სასირეთში რა ხდება".

ძალიან საინტერესოა, ვინაიდან ის მაჩვენებელია იმ სურათის, რომელსაც გასულ წლებში ჰქონდა ადგილი სოფლად და თურმე დღესაც აქვს ზოგიერთ ადგილას. ასეთ მაგალითებს, როგორც არის კორესპონდენციაში მოყვანილი, ბევრგან ჩვენ მაზრებში ჰქონდა ადგილი, განსაკუთრებით კი გორის მაზრაში, სადაც არა ერთხელ დაგვიპატიმრებია მიწკომის წევრები ლოთობისა და მექრთამეობისათვის.

24 წლის პირველ ნახევარში მიწადმოქმედების კომისარიატი შეუდგა ადგილობრივ, სოფლად იმის გამორკვევას, თუ რამდენად საჭირო იყო მიწკომების შემდეგში ყოლა და გამოირკვა, რომ ამ ორგანიზაციამ უკვე დაამთავრა თავისი დანიშნულება და შემდეგში მის არსებობას მხოლოდ ზიანი შეაქვს გაკეთებულ საქმეში და მეტი არაფერი. მიიღო რა ეს მხედველობაში, კომისარიატმა დაადგინ გაუქმებულ იქნას მიწკომისია სოფლის და თემის, მხოლოდ ხელმძღვანელობა მიწის საკითხში დაევალოს როგორც პირველ ინსტანციას, სამაზრო საადგილმამულო განყოფილების კოლეგიას, მეორე და უკანასკნელ ინსტანციათ ითვლება მიწადმოქმედების კომისარიატის საადგილმამულო საბჭო. ეს დადგენილება კომისარიატისა ცირკულიარულად გაეგზავნა ყველა მაზრის აღმასკომებს იმავე 1924 წელში 24 ივლისი № 4.272. მოვიყვან ამონაწერს ცირკულიარულად:

„მიწათ მოქმედების კომისარიატში მიღებულ ცნობებით კი მიწის კომიტეტები კიდევ განაგრძობენ არსებობას და მოქმედებას, რაც ჰქმნის მიწათმოწყობის და სარგებლობის საქმეში არევდარევას და გაუგებრობას.

გაცნობებთ რა ამას, მიწათ-მოქმედების სახ. კომისარიატი გთხოვთ ეხლავე მიიღოთ ზომები, რათა გაუქმებულ იქნას ყოველგან სასოფლო და სათემო მიწის კომიტეტები და სათანადოთ შესრულებული იქნას მუხლი მე-116 მიწის კოდექსისა".

რას მოგვითხრობს ეს 116 მუხლი მიწის კოდექსისა:

„მიწათმოწყობა სწარმოებს მიწათმოქმ. კომისარიატის საერთო ხელმძღვანელობით, ზედამხედველობით და კონტროლით საამისოდ რწმუნებამოსილ მიწის-მზომლებ-მიწათმოწყობათა მეშვეობით, რომელთა მოვალეობა და მოქმედება განისაზღვრება ცალკე ინსტრუქციით; მიწათმოწყობის დროს ადგილობრივი ხელისუფლება მონაწილეობას მიიღებს იმ სოფლის საბჭოს წარმომადგენელთა სახით, სადაც სწარმოებს მიწათმოწყობა; წარმომადგენელი ორზე მეტი არ უნდა იყოს; ამ წარმომადგენლებს აქვთ სათათბირო ხმის უფლება".

მკითხველმა მოისმინა ორი ამონაწერი: პირველი ის, რომ მიწის კომიტეტები გაუქმებულია, მეორე სოფლის ან თემის საბჭოს არავითარი იურიდიული უფლება არა აქვს ან ჩამოართვას ან გადასცეს მიწა. მხოლოდ მიწათმომწყობ ორგანოებთან ღებულობს მონაწილეობას სათათბირო ხმით. თუ დღეს-დღეობით ზოგიერთი სოფლის საბჭოები კიდევ ერევიან არა მათ საქმეში, განსაკუთრებით მიწის საკითხში, ვაცხადებთ მშრომელ გლეხობის გასაგონათ: 1) ის მიწები, რომელიც მიიღო 23 წლის რეფორმის ჩატარების დროს ნორმის ფარგლებში მშრომელ გლეხობამ, მომავალ მიწის მოწყობის დროს იქნება საშვილიშვილო სარგებლობაში ძათზე დამტკიცებული სათანადო საბუთებით; 2) სოფლის ან თემის საბჭოების მიერ რეფორმის ჩატარების შემდეგ მშრომელებზე მიწის ჩამორთმევას თუ აქვს ან ექნება ადგილი, არავითარი ძალა ამას არ ექნება მიწისმოწყობის ჩატარების დროს, ე. ი. მიწა გადაეცემა ისევ იმ მშრომელს, რომელმაც მიიღო რეფორმის ჩატარებისას ნორმის ფარგლებში.

დასასრულ უნდა ვსთქვა, რომ საჭიროა ასეთი ნაკლის მიმთითებელი კორესპონდენციები ადგილებიდან ხშირად იწერებოდეს მშრომელ გლეხობისაგან, ვინაიდან ეს მოგვცემდა ჩვენი კანონების და ინსტრუქციების ცხოვრებაში გატარების საშუალებას, რაც გულისხმობს სოფელთან დაახლოებას. მიწათმოქმედების სახ. კომისარიატი სიამოვნებით გამოეხმაურება საქმიან შენიშვნებს ადგილებიდან, მისცემს სათანადო ახსნა-განმარტებას და სათანადო მსვლელობას თვით საქმისას.

კორესპონდენციაში აღნიშნულ საკითხის დაწვრილებით გამოსარკვევათ ზომები უკვე მიღებულია.

მიწათმოქმ. სახ. კომისარიატის კოლეგიის წევრი **ი. ჟვანია.**

---

*) ვათავსებთ ამ კორესპონდენციას სრულიად უცვლელად. რ ე დ.

# ხელოვნება

### სახელმწიფო ოპერა

### „კარმენი" — ბარონკინას მონაწილეობით.

17 იანვრის წარმოდგენაში მთავარ ყურადღებას იპყრობდა მომღერალ ელენე ბარონკინას გამოსვლა კარმენის მთავარ პარტიაში.

ბარონკინა რამოდენიმე წლის წინად წარმატებით მღეროდა ჩვენს საოპერო სცენაზე მეცო-სოპრანოს პარტიებში. მომღერალმა ოპერის გმირი ქალის მეტათ გამოკვეთილი და მხატვრული სახე მოგვცა. კარმენი მის შესრულებაში მეტათ ლამაზი, პლასტიური, მიმზიდველი და ექსპანსიურია. მსახიობის მიერ შექმნილი სახე მოკლებულია ვულგარობას. მთელი როლი მოფიქრებული და დამუშავებულია. არის მომჯადოებელი მომენტები: მთელი პირველი აქტი, მკითხაობის სცენა და განსაკუთრებით ფინალის სცენა ხოზესთან.

ვოკალური შესრულება მოფიქრებული და მუსიკალურია.

ვოკალურის მხრივ შესრულების საუკეთესო ადგილებია — მკითხაობის სცენა და დუეტი ესკამილიოსთან მე-4 აქტში. აღსანიშნავია მსახიობ ქალის მეტათ სტილიური კოსტიუმები.

ბარონკინას მშვენიერი პარტნიორი იყო კულაგინი. შესრულებაში სჩანდა გულწრფელობა და უშუალო გრძნობა. საუკეთესოთ არის გამოყოფილი ხოზეს სულიერი მღელვარების ყველა მომენტები.

ფინალის სცენა კარმენთან — ეს ტანჯვის და გრძნობის მთელი გამმაა. ასეთივე სიმაღლეზეა ვოკალური გადმოცემაც.

სამწუხაროდ უნდა გავითვალისწინოთ, რომ ქარციგაძე სუსტათ ანვითარებს თავის ვოკალურ ნიჭს. მსახიობს ძლიერი ხმა აქვს, მას შეუძლია ვოკალური მხარის კარგათ გადმოცემა კარგათ იყო შესრულებული მე-4 აქტის დუეტი, სიმღერაში სჩანდა კანტილენაც. მომღერალმა ყურადღება უნდა მიაქციოს დინამიკას სიმღერაში, მან უნდა მიაღწიოს ხმის გამჭვირვალებას, უკეთეს ფრაზას და დიქციას.

ხმოვანების, დიქციის და ფრაზიროვკის მხრივ წინ მიიწია ქურხული.

კარგათ მიყავს ორკესტრი სტოლერმანს. ლამაზათ ცეკვავენ ჭაბუკიანი, რატუშენკო და სერგეევი.

**ბ. ბ.**

—

— **დუროვის წარმოდგენა** წითელ-არმიელებისათვის გაიმართება 26 იანვარს ცირკში.

— **ქუთაისის თეატრში** ჯარის ნაწილებს მუდმივათ ეთმობათ უფასოთ 30 ბილეთი.

### დღეს კინოებში.

— პალასი — „ვიდოკ".

— თვითმფრინავი — „დედოფალი".

— გლობუსი — „წითელი ცის ქვეშ".

— მინიონ — „ქალი გზა-ჯვარედინზე".

— ოაზისი — „სუმურუნ".

# მუშათა ცხოვრება

## მოაწყვეთ წითელი სამზარეულოები

(მუშკოოპის საყურადღებოდ)

მუშკოოპის სახალხო კვების განყოფილებამ გახსნა კიდევ ერთი სასადილო პლეხანოვის პროსპექტზე. აღნიშნული სასადილო მშვენივრად არის მოწყობილი და სისუფთავეც საშაგალითოდაა დაცული. იქ ადგილი აღარ აქვს გაქონილ მაგიდებს, და თეთრ სუფრებს უსხედან სამუშაო ტანთსაცმელით გამურული მუშები. ისეთი საჭმელი, როგორიც იქ მზადდება, გაცილებით კერძო სასადილოში მეტად უნდა ფასობდეს. აქ კი ორი კერძი სადილი პურით ღირს—47 კპ., წევრებისათვის კი—39 კ. სადილი კარგი ღირსებისაა და იაფიც.

სასადილოს მუშაობას სისტემატიურად რიგრიგობით მუშათა კომისია ადევნებს თვალყურს. ეს ყველაფერი დამაკმაყოფილებელია.

მაგრამ საჭიროა ეს საკითხი, როგორიც არის სახალხო კვება, მრავალმხრივ იქნეს გაშუქებული. მახსოვს მუშკორთა კრებაზედ კოოპერატივის შესახებ ამხ. სერგო ორჯონიკიძემ განცხადა შემდეგი: „არ გვინდა თქვენი სურნელოვანი „დუხები“, რომ ჰყიდით, მოგვეცით აყროლებული ნავთი“-ო.

უნდა ახსოვდეთ კვების ორგანიზაციებს, რომ ჩვენ, მუშებს, განსაკუთრებით მცირე ხელფასიანებს ჯერ კიდევ გვიჭირს ცხოვრება და ამისათვის სახალხო კვებაც მათი დაკმაყოფილებით უნდა დაიწყოს.

მუშამ დღეში სამჯერ უნდა ჭამოს, დილით, შუადღისას და საღამოთი. საღამოთი იგი ვერ შევა დღევანდელ სასადილოებში, რომ ივახშმოს, რადგანაც მისი ბიუჯეტი მას ნებას არ მისცემს.

გარდა ამისა თვითონ, რომ გაძღეს, მას სახლშიაც ეგულება რამოდენიმე ოჯახის წევრი. ამისათვის დღევანდელ სასადილოებს სახალხო კვების მნიშვნელობა თითქმის ეკარგება, რადგანაც იქ უმეტესად ისადილებენ დიდჯამაგირიანი მუშაკნი და კერძო პირები და იშვიათად მუშები.

ამისათვის დღეს ჩვენ გვესაჭიროება ისეთი სასადილოების გახსნაც, რომლიდანაც ისარგებლებენ მცირე ჯამაგირიანი მუშები და მათი ოჯახის წევრებიც. უნდა გაიხსნას სასადილოებთან ერთად სამზარეულოებიც, მუშათა ოჯახები უნდა დაუკავშირდენ პირდაპირ ამ სამზარეულოებს.

ნამდვილი სახალხო კვების პრინციპი მოითხოვს მუშის ოჯახის წევრების დაკმაყოფილებას და რათაც არ უნდა დაგვიჯდეს უნდა მოწყობილი იქნას ასეთი სამზარეულოები უბნებში. ასეთი სამზარეულოები სიკეთეს მოუტანს როგორც მუშებს, აგრეთვე სახელმწიფოს. მშრომელი ხალხი უნდა შეეჩვიოს მომავალ კოლექტიურ ცხოვრებას, ამავე დროს საფუძველი ეყრება უდიდესი საკითხის გადაჭრას, როგორიც არის ქალის ქუხნისაგან განთავისუფლება.

დეე, ჩვენი დედაკაცი ჩამოშორდეს ერთიერთ ოჯახის სამუშაოს და სამზარეულოში გაუთავებელ ფუსფუსს. რათა მასაც დრო ჰქონდეს გონებრივი განვითარების

გაუმარჯოს წითელ სასადილოებთან ერთად **წითელ სამზარეულოებს.**

**მუშკორი მკერვალი ნიკო.**

## ალაგმეთ შრომის ექსპლოატატორები

(საქ. პროფსაბჭოს და შრომის პროკურორის საყურადღებოდ)

ქ. ახალქალაქის მცხოვრებლების მეტ წილს შეადგენენ მოხელეები, დურგლები, მეფეჩეები, მჭედლები და სხვა. ყველა ამათ ჰყავთ დაქირავებული მუშები და აგრეთვე მცირეწლოვანი მოწაფეებიც, რომლებიც ხელობას სწავლობენ. ეს მუშები არიან ნაწილად ალმშენებლობითი კავშირის წევრები და ნაწილიც კი საზოგადო დაწესებულებათა კავშირის წევრებად ითვლება, რომლების პროფრწმუნებულებიც არიან ახალქალაქში და ჰკრეფენ საწევრო გადასახადს და სხვა მხრივ კი არავითარ ყურადღებას არ აქცევენ ზემოხსენებულ მუშების მდგომარეობას.

უნდა აღვნიშნო ისიც, რომ დურგლებს და მეფეჩეებს ვერ შეუთვისებიათ დღევანდელი შრომის კანონები და ამუშავებენ დაქირავებულ მუშებს დღე და ღამ, რაც დაუშვებელია დღევანდელ ხანაში. ამ მდგომარეობას არავითარ ყურადღებას არ აქცევს ახალქალაქის პროფრწმუნებული. უნდა მივიღოთ სასტიკი ზომები ამ დაუშვებელ მოვლენის აღმოსაფხვრელად.

**ინფ. კირ. კალანდაძე.**

## რათა ვზარალობთ ეგრე

(წყალსადენის საყურადღებოდ)

ამატუნოვის ქუჩაზე ეს 5—7 დღეა, რაც ჩამოდის დღამე ღვარად წყალი გამსკდარი მილიდან. ასეთი შემთხვევა ხშირია სხვა ქუჩებშიაც. რამოდენიმე დღეები ილვრება ქალაქის წყალი. კარგი იქნებოდა ასეთ ცივ ამინდებში ყველა უბნის კონტროლიორები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ წყლის მილებს და წყალსაზომებს, თორემ ვზარალობთ საშინლად ამ გულგრილობით. იმედია, წყალსადენი მიაქცევს ამ გარემოებას ჯეროვან ყურადღებას.

**მუშკორი ილარ. კაციტაძე.**

## ალაგმეთ ეს თავგასული დიასახლისი

(მთავარ მილიციის საყურადღებოდ)

ყიფიანის ქ. მოქ. ბაბუქ-მელიქოვის სახლს № 12, ფაქტიურად განაგებს მისი მეუღლე სოფიო დავითის ასული მელიქოვისა ამ სახლში ვსცხოვრობთ საბჭოთა მოსამსახურე პროფ. კავშირის წევრები, გვიჭირავს ორი ოთახი სივრცით 60 კვ. არშინი და ვსცხოვრობთ ოთხი სული. ბინის ქირად პირველ ოთხი თვის განმავლობაში ვიხდიდით სამ-სა მანეთს. შემდეგ თვეებში ოც-ოც მანეთს სულ წლის განმავლობაში გადავიხადე 225 მან. და ბოლოს, როდესაც ვერ შევსძელით ამოდენა ქირის გადახდა, ვსთხოვეთ გადასახადს დასჯერებოდა ათ (10) მან. თვეში მაგრამ სახლის პატრონმა უარი გვითხრა და თანაც დასძინა: „მე თქვენ ისე გაგამწარებთ, რომ ცხოვრების საშუალებასაც არ მოგცემთო“.

30 დეკ მერს გაუგზავნეთ ათი მანეთი ნოემბრის ქირა, მაგრამ მან ასეთი არ მიიღო.

„12 იანვარს კი დილის 12 საათზე, როდესაც სახლში არავინ იყო, სამზარეულოში მიმავალს, გამოვარდა კუშტი-კრივით და გამიმასპინძლდა შემდეგი სიტყვებით: „Вонючая грузинская кекелка“ და სხვა მრავალი უმსგავსო სიტყვებით. ცხადია, რომ „ქალბატონს“ სწადია ამ გზით ბინა დაგვაცლევინოს. ყველა მდგმურები დიასახლისისაგან ძალიან შეწუხებული ვართ. ალაგმეთ ეს მხეცი დიასახლისი.

**ინფ. ქ. წვერავა.**

## მიიღეთ ზომები

(ელექტრონის მომწესრიგებელ სამმართველოს საყურადღებოდ).

ელექტრონის მომწესრიგებელ სამმართველოს 12 სადგური სინათლეს მრავალჯერ სუსტს იძლევა, უდროვო დროს ჰქრება და ხან სულ არ არის სამი ოთხი საათის განმავლობაში. ამა გარდა ფული თუ დანიშნულ დროზე არ შეიტანე იმ დღესვე გადაგიჭრიან და თუ გადაგიჭრეს და მეორე დღესვე შეიტანე ფული, შეერთებას მაინც ორი-სამი დღე აგვიანებენ.

ამ დეფექტების მოსაგვარებლად მიიღეთ ზომები.

**მუშკორი ტაბაკინელი.**

## ფაბრიკა-ქარხნებში

### შრომის არტელ „ლომი“-ს თამბაქოს ფაბრიკა

ფაბრიკა ერთ თვეს იდგა და მხოლოდ 15 იანვრიდან დაიწყო მუშაობა. ამის მიზეზი იყო ფაბრიკაში მომხდარი რევიზია, რომელმაც აღმოაჩინა მრავალი ბოროტ-მოქმედებანი ზოგიერთ არა საიმედო ელემენტებისა, რომლებიც შეპარულიყვნენ არტელში. ეხლანდელი შემადგენლობა არტელისა პატიოსან პირებად უნდა ჩაითვალოს. მომავალში, რომ ადგილი აღარ ექნეს ბოროტ-მოქმედებებს, ამისთვის წევრებად იღებენ მხოლოდ და მხოლოდ თამბაქოს საქმის ზედმიწევნით მცოდნე პირებს.

**წარმოება.**

ფაბრიკაში მზადდება თამბაქო უ. ხ. „სურნელოვანი კეობეკ“-ი. 1 ხარისხისა და მეორესი.—პაპიროსები—მხოლოდ 1 ხარისხის „მერცხალი“ და „ტარზან“-ი. ამ მოკლე ხანში სოხუმიდან მოელიან თამბაქოს უ. ხარისხის პაპიროსების დასამზადებლად.

**რეალიზაცია.**

გასაღება ფაბრიკის პროდუქციისა სწარმოებს ადგილობრივ კოოპ. ორგანიზაციების და კერძო ბაზრის საშუალებით. უნდა აღინიშნოს, რომ რეორგანიზაციის შემდეგ რეალიზაციის საქმეც გამოკეთდა; მაგ. მაშინ თვითღირებულების ფასზე ნაკლებად იყიდებოდა ნაწარმოები, ეხლა ეს ოპერაცია ნორმალურ მდგომარეობაში ჩადგა.

**დაქირავებული შრომით არ სარგებლობენ**

ფაბრიკაში დაქირავებით არავინ არ მუშაობს, სულ არტელი შესდგება 13 წევრისაგან და ისინი მუშაობენ თვითონ.

**დამუშავება.**

ფაბრიკას აქვს ერთი გილზის თამბაქოთი დასატენი მანქანა და ერთიც თამბაქოს დასაჭრელი ამ მანქანებით ყოველდღიურად ამუშავებენ 40.000 ცალ პაპიროსს. გილზებს კერძო ბაზარზე იძენენ.

**ინფ. ტონკა.**

# წერილები პროვინციიდან

## საჭიროა ექიმები

### სალხინოს რაიონი (სენაკის მაზრა)

სალხინოს რაიონი (იგივე დიდიჭყონი) დაშორებულია სენაკის სამაზრო ცენტრიდან 40 ვერსით, აქ არსებობს საავადმყოფო, რომელიც მოთავსებულია პრინცესა მიურატის ყოფილ ეზოში. მდებარეობა მშვენიერია, ხელოვნურად გაშენებული ბაღები, შესანიშნავი მდინარე „ჩაშხურა“ გემრიელი კალმახით, და მრავალი დიდი და პატარა ქვის და ხის შენობები; ამ ლამაზმა ადგილმდებარეობამ მიიზიდა იქ პრინცესა მიურატი, რომელმაც მოასწრო გაქცევა პარიზში ერთი კვირით ადრე გასაბჭოებამდე. ადგილობრივმა ხელისუფლებამ გადასცა საავადმყოფოს ერთი დიდი ორსართულიანი სახლი რვა ოთახით, ოცი რკინის კრავატი, ხაბნერით და სხვა საჭირო ნივთები მოწყობილი იყო ცალკე საქალებო განყოფილება: ეს საავადმყოფო დღესაც არსებობს. მოწყობილობა და ინვენტარი ყოვლისფერი აქვს, მხოლოდ არა ჰყავს სამწუხაროდ ექიმი და არ მოიპოვება მედიკამენტები.

ამ გარემოების გამო სალხინოს რაიონის მცხოვრებნი მეტად უმწეო მდგომარეობაში იმყოფებიან. წარმოიდგინეთ, რომ სამი ათასი კომლით (15.000 სული) დასახლებულ რაიონს არ ჰყავს ერთი ექიმი.

მივაქცევთ რა ჯანმრთელობის კომისარიატის ყურადღებას ასეთ მდგომარეობას, ვთხოვთ გამოგვიგზავნოს გამოცდილი ექიმები, ერთი სალხინოს საავადმყოფოს გამგეთ, მეორე კი თამაკონის ექიმის ამბულატორიაში (ესეც სალხინოს რაიონშია). ამ ამბულატორიაში ერთი წელიწადია ექიმი არ მოიპოვება. საჭირო არის აგრეთვე წამლებით უზრუნველყოფა. აგრეთვე დაუყოვნებლივ საჭირო არის კინიის და კურზუს თემებში საფერშლო პუნქტების გახსნა.

**ბ. ჩ.**

## გზებს შეკეთება ეჭირვება

### დილიკაურის თემი (შორაპნის მაზრა)

დილიკაურის თემში რამოდენიმე წლობით შეუკეთებელი და ძალზე დაზიანებული გზებია. საერთოდ აღნიშნული თემი ამ მხრივ გამოუთქმელ გაჭირვებას განიცდის, თითქმის ყველა კრებები ხაზს უსვამდენ ამ მდგომარეობას, და აფრთხილებდა კომისიას, რომ უკანასკნელის მიერ ყოფილიყო მიღებული ზომები ახალი გზების გასაყვანად და ძველის შესაკეთებლათ. მაგრამ ასეთი გაფრთხილება ყოველთვის და ყოველ დროს რჩებოდა უშედეგოთ. ქ. ზესტაფონიდან ქ. ჭიათურაში მომავალი გზა ძლიერ დაზიანებულია, მაგრამ რაღაც მოსაზრებით. რამოდენიმე წლობით არსებული ძველი გზის შეკეთება აღარ ისურვეს; გზა გადიყვანეს ღარიბ გლეხების ყანებზე და ეზოებზე.

ადგილის მეპატრონეებმა ეს საქმე გაასაჩივრეს. შორ. მაზ. აღ. ყოფილმა თავმჯდომარემ ამხ. კ. თათეიშვილმა იცნო რა უკანონოთ კომისიის მოქმედება, დაავალა, რომ ეს გზა გაეუქმებიათ და ძველი გზა შეეკეთებიათ. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ზოსლევ-დილიკაურის გზას, რომელიც აერთიანებს რამოდენიმე ქალაქს და სოფელს. ეს გზა მეტათ დაზარალებულია 2 ვერსის მანძილზე სად. ზოსლევის ახლო. ამ ხაზზე არ შეიძლება გავლა არც ურმით არც ცხენით და ქვეით კაცსაც დიდი სიფრთხილე უნდა, რომ ინვალიდი არ გახდეს. დროც გვქონდა, ამინდიც ხელს გვიწყობდა. ამჟამად იშვიათ ზამთარს შევყურებთ. გაზაფხულის პირზე დაზიანებული გზები ნიაღვარით დაზიანდება. საჭიროა სამაზრო ხელისუფლებამ ყურადღება მიაქციოს ასეთ მდგომარეობას და მიიღოს საჭირო ზომები.

**ამბროსი სილაძე.**

## სოფელი ბილა

### (შორაპნის მაზრა)

სოფელი ბილა მდებარეობს ქ. ჭიათურიდან 20 ვერსის მანძილზე. სოფელი გაშენებულია მთაგორიან ადგილებში. მცხოვრებლები დიდ სიღარიბეს განიცდიან მიწების სიცოტავით, რაც არის ისიც მწირია და გამოფიტული. ხალხი კიდევ მამა-პაპურის გამოცდილებით იკვებება. ახალი ცხოვრების შუქს ჯერ არც კი შეუნათებია აქ. ხალხს ვერც კი წარმოუდგენია თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ხალხისთვის ბიბლიოთეკა-სამკითხველოს, თეატრს და სხვა კულტურულ დაწესებულებას. სოფელს ერთის მხრივ არტყია პატარა ლამაზი ტყე. წელს ეს ტყე მთლათ გაანადგურეს და ხალხს შემდეგისთვის შეშა აღარ ექნებათ, უნდა დაიხოცონ სიცივით. ჭიათურის აღმასკომი მიაქციე ყურადღება ასეთ გარემოებას.

**პროკოფი გოცაძე.**

## პრიუტის თემი

### (თბილისის მაზრა)

(სამაზრო განათლების განყოფ. საყურადღებოდ)

პრიუტის თემში ოთხი საზოგადოება ემზადება ახლო მომავალში ახალი სკოლების გახსნისთვის. პირველ გახსნისთანავე საჭირო იქნება ოთხი მასწავლებელი. ამ საქმის დაგვირგვინებას დიდი ხალისით ეკიდება გლეხობა, და დაიმედებული არიან პირველ მოთხოვნილების თანავე მიუვათ მასწავლებლები. სოფ. ამლივს ორ თვეზე მეტი იქნება ნაშოვარი აქვთ სკოლისათვის სათანადო შენობა, „პარკებიც“ და ყველა საჭირო მოწყობილობაც მოეპოვებათ სკოლისათვის. ორი თვის წინათ მათ მოითხოვეს მასწავლებელი ადგილობრივი აღმასკომის საშუალებით. აღმასკომმა აღძრა შუამდგომლობა სამაზრო განათლების გან. წინაშე, რათა დაუყოვნებლივ გამოეგზავნათ ერთი ქართველი მასწავლებელი, მაგრამ მესამე თვე სრულდება და პასუხი არ სჩანს.

სოფელში 80-დე სკოლაში შესაყვანი ახალგაზრდა მოიპოვება, ამჟამად სცდებიან. ძალიან სასურველი იქნება განათლების გან. სასწრაფოდ გაატარებდეს რეგისტრაციაში სოფ. ამლივის სკოლას და გამოგზავნიდეს მასწავლებელს.

**ი. ღლონტი.**

## საკრედიტო ამხანაგობის საჭიროება

### ხ. შაშიანი (თელავის მაზრა)

სოფ. შაშიანის რაიონში ითვლება 3000 კომლამდე. გლეხობა მისდევს ხვნა თესვას და მევენახეობას. ამ რაიონში არსებობს მთლიანი კოოპერატივი. აქ ჩარჩ-ვაჭრები არ არსებობენ, მაგრამ ყოფილა შემთხვევები, როცა გასჭირვებია გლეხს, სხვა სოფლებში წასულა ჩარჩის საძებნელად, რომ მიჰყიდოს მას თავისი ნაშრომი. არა ერთხელ გამიგონია გლეხებისაგან „ნეტავი საკრედიტო ამხანაგობა იყოს აქ, ხელს მოვინაცვლიდით და იმ გასიებულებს, რომლებსაც სუნით დავეძებთ, არამც თუ არ მივმართავდით, არამედ აქაც ახლოსაც არ გავატარებდითო“. გლეხობა მოწადინებულია გამოვიდეს ამ მდგომარეობიდან. საჭიროა გლეხობის საჭიროებას ანგარიში გაეწიოს და გაიხსნას აქ საკრედიტო ამხანაგობა.

**გ.გაბრიელაშვილი.**

## პროვინციის ქრონიკა

— **ნავთი გლეხებისათვის.** ახალქალაქის—ჯავახეთის კოოპერატივმ ყოველთვიურათ იღებს 1 ცისტერნ ნავთს, რომელიც ნაწილდება სასოფლო საბჭოებს შორის ადგილობრივ გლეხებისათვის დასარიგებლათ. გირ. ღირს 6 კაპ.

— **სოფ. ველისციხეში** ამჟამად მიმდინარეობს სასოფლო-სამეურნეო გადასახადის აკრეფა. დანიშნულ ვადამდე აკრეფილი იქნება 80 პროცენტი.

— **მეფუტკრეთა თათბირი** 1 თებერვალს ლიუქსემბურგში შესდგება ბორჩალოს მაზრის მეფუტკრეთა თათბირი, რომლის მიზანია დაარსებული იქნას მეფუტკრეთა კოოპერატიული კავშირი, თაფლის ნაწარმოების დამამზადებელი ქარხნის მოწყობა და სხ.

— **ოზურგეთის** ტყავის ქარხანა იჯარით აიღო ცეკავშირმა. ქარხანას ცეკავშირი მუდმივათ აწვდის ნედლ მასალას.

— **სენაკის** მთლიანმა კოოპერატივმა ცენტრიდან მიიღო დიდძალი ფართლეულობა.

— **ხიდი „ჩოლაბურზე“.** შორაპნის აღმასკომმა შუამდგომლობა აღძრა გზა-ტკეცილების სამმართველოს წინაშე, გადასდოს შესაფერი თანხა მდ. ჩოლაბურის ხიდის დასამთავრებლათ.

— **გურჯაანის სახალხო მამული.** სიღნაღის აღმასკომმა დააჯილდოვა მამულის გამგე ხანიბაშვილი ერთგული მუშაობისათვის, რომლის წყალობით სახ. მამულის მდგომარეობა შესამჩნევათ გამოკეთდა.

— **ლოტო ქუთაისში.** ქუთაისის აღმასკომმა დაადგინა წითელი ჯვრის კუთვნილი ლოტოს სათამაშო გადაიტანიოს ახალ ადგილზე, სადაც სიარული აკრძალული აქვთ მოსწავლე ახალგაზრდობას.

— **საექიმო პუნქტები.** შორაპნის მაზრაში არსებულ საექიმო პუნქტების საჭიროებისათვის საექიმო იარაღების შესაძენათ, სამაზრო აღმასკომმა გადასდო 400 მან.

— **ალბულაღის** რაიონში ამჟამად არსებობს 15 სკოლა და 5 ქოხსამკითხველო.

— **ქუთაისის** აღმასკომმა გადასწყვიტა გადასდოს 2000 მან. მესამე ქართ. ლეგიონის ბინების შესაკეთებლათ.

## ჩვენი ფოსტა

**პარიზში.** ამხანაგს. თქვენი წერილი მივიღეთ პასუხი გამოგეგზავნებათ. თქვენი თხოვნა მოხუცის შესახებ შესრულებული იქნება. მოიწერეთ.

## პარტიული და საბჭოთა კალენდარი

### პარტიული

— არხრაიკომის ქალთა განყოფილება იუწყება: დღეს, 20 იანვარს, საღამოს 5 საათზე, მუშათა ცენტრ. კლუბში შესდგება ქალთა დელეგატების კრება ქალთა ორგანიზაციებთან ერთად.

დასწრება სავალდებულოა ყველა ქალ-დელეგატებისთვის.

— ქალაქის რაიკომის ქალთა განყოფილება იუწყება: დღეს, 20 იანვარს, საღამოს 5 საათზე, ქალაქის რაიკომის შენობაში მოწვეულია ქალთა ორგანიზატორების კრება.

— დღეს, 20 იანვარს, დღის 2 საათზე შესდგება თბილისის ორგანიზაციის რაიკომების ინფორმატორ-სტატისტიკოსების თათბირი, ადგილობრივ გაზეთების „პარტიულ განყოფილებათა“ გამგეებთან ერთად.

დასწრება სავალდებულოა ყველასთვის.

ოთხშაბათს, 21 იანვარს, საღამოს 7 საათზე, განათლების მუშაკთა სახლში (კალოუბნის ქ. 3) მბეჭდავთა სექციასთან ერთად შესდგება

**ლენინის ხსოვნის აღსანიშნავი საღამო.**

**საღამოს პროგრამა:** 1. მარია ორახელაშვილის მოხსენება.
2. „ლენინ-ოქტომბრის“ სცენაზე განსახიერება.
3. ლიტერატურულ-მუსიკალური განყოფილება.

## განცხადებები

ღრმად დამწუხარებულნი გიორგი იაგორის ძე ერთელიშვილი და მ ეუღლე მისი ანნა ლევანის ასული ერთელიშვილისა, ამით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ მძიმე და ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ, გარდაიცვალა მათთვის უსაყვარულესი დედა

**სოფიო გიორგის ასული ერთელიშვილი**

დაკრძალვა მოხდება დღეს, 20 იანვარს, კუკიის წმინდა ნინოს სასაფლაოზე. გამოსვენება ალექსანდრეს საავადმყოფოდან საღ. 4 საათზე.
675 1—1

მარიამ ერნესტის ასული ეჟენტისა, ფეოდოსია ივანეს ასული კლიოკე, ვერა ერნესტის ასული და ალექსი ალექსანდრეს ძე გეგეჭკორები გულითად მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და მეგობართ ძვირფასი და დაუვიწყარი პირველისათვის ქმრის, ხოლო მეორებისათვის სიძის

**ვასილი ეგვთიმეს ძე ეჟენტის**

უდროოდ გარდაცვალებას. გამოსვენება და დაკრძალვა მცხეთაში, დღეს, იანვრის 20-ს, ნაშუადღევის 5 საათზე. 1—1

სახელმწიფო ოპერა

დღეს, 20 იანვარს,

მირრა ვოლის მონაწილეობით

**მეფის საცოლე**

ხუთშაბათს, 22 იანვარს,

**თავადი იგორი**

ნის. 677. 3—1

სახელმწიფო დრამა

დღეს, 22 იანვარს,

**ვაჟზნაურებული მდაბიო**

შაბათს, 22 იანვარს,

**ლატავრა**

ნის. 678 5—1

**ფოტოგრაფი გეგეშიძე**

იღებს ყოველგვარ ფოტოგრაფიულ სამუშაოს

აგრეთვე ადიდებს სურათებს ხელმისაწვდომ ფასებში

პლეხანოვის პრ. № 80 ნ. 398 5—5.

ელექტრონით და სინათლით

სამკურნალო

საწოლებით რენტგენი დიათერმია

მიხეილ გედევანიშვილის [illegible]

ნერვიულ დაავადებულთათვის [illegible]

ექიმობას [illegible]

მიღება 2—3 და 6—8 სათ. თბილისი, ყორღანოვის ქ. № 20. 9205. 25—18

საქ. სოც. უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატი

— აცხადებს —

**მოწვეულთა საყურადღებოდ,**

რომ მისგან დამოუკიდებელ მიზეზების გამო

**საჯარო გასინჯვა კინო-მოთხრობის „ქარიშხალის წინ“ გადადებულია.**

გასინჯვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

ნ. 679 1—1

საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა ცენტრალურ საბჭოს გამომცემლობა

**დაიბეჭდა და იყიდება**

1. ანტოშკინი: პროფესიონალური მოძრაობა რუსეთში . 55 კაპ.
2. აინზაფტი: ზუბატოვობა და გაპონობა . . . 45 კაპ.
3. ბიხოვსკი: რას წარმოადგენს დამზღვევი კასა. გაყიდულია.
4. ს. გოდაბრელიძე: შრომის კანონთა კრებული . . 20 კაპ.
5. გოლდმანი: შრომის სანიტარული დაცვა. რუსულ ენაზე 15 კაპ.
6. გირინისი: ლენინი და პროფესიონალური მოძრაობა . 40 კაპ.
7. მანევსკი: შრომის ტეხნიკური დაცვა. რუსულ ენაზე . 20 კაპ.
8. პისეცკი: პროფესიონალური მოძრაობა საბჭ. საქართ. 35 კაპ.
9. იგივე რუსულ ენაზე . . . . . . . 40 კაპ.
10. ჩეკინი: პროფმოძრაობის თეორია, პრაქტიკა და ისტორია გაყიდ.
11. ჩეკინი: თანამედროვე ტრედ-იუნიონიზმის ნარკვევი . 1 მან.
12. ტრახტენბერგი: კოლექტიური ხელშეკრულება . . 75 კაპ.
13. არკ. ან. მუშათა მოძრაობის ისტორია ინგლისსა, საფრანგეთსა და გერმანიაში . . . . . 1 მ. 35 კ.
14. ელბაქიანი: დამზღვევი კასები რუსულ ენაზე . . 35 კაპ.
15. გრინევიჩი: პროფმოძრაობა რუსეთში . . . 2 მან.
16. ლოზოვსკი: მიმდინარეობათა ბრძოლა მსოფლიო პროფმოძრაობაში . . . . . . . . 20 კაპ.
17. ტომსკი: ნარკვევი პროფმოძრაობის ისტორიიდან რუსეთში. გაყიდულია.
18. ტომსკი: პროფკავშირები ახალ გზებზე. გაყიდულია.
19. ლოზოვსკი: კომუნისტთა ამოცანები პროფმოძრაობაში 35 კაპ.

1. ამხ. ლენინზე წერილებისა და მოგონებათა კრებული 2 მ. 40 კ.
2. გირინისი: რა არის საწარმოო კავშირი . . . 20 კაპ.
3. ბაქრაძე: მუშათა კლასის პროფესიონალური ავადმყოფობანი . . . . . . . . . 1 მან.
4. ლოზოვსკი. საერთაშორისო პროფესიონალური მოძრაობა 60 კაპ.
5 ჩეკინი: პროფესიონალურ მოძრაობის ანბანი. . 1 მ. 20 კ.
6. საქართველოს პროფკავშირები 1923—24 წ.წ. . 1 მ. 75 კ.
7. იგივე რუსულ ენაზე . . . . . . 1 მ. 75 კ.

აღნიშნული წიგნები იყიდება გამომცემლობის წიგნის მაღაზიაში, მუშათა სასახლე, ბარიატინის კუთხეში.

**იბეჭდება და ამ მოკლე ხანში გამოვა:**

1. ციებ-ცხელება ანუ მალარია ი. ლომოურის.
2. ფებზურთი (ქართულ ენაზე).
3. ზინოვიევი: პროფმოძრაობის ამოცანები (სიტყვა წარმოთ. მე-6 ყრილობაზე).
4. რიკოვი: საბჭოთა კავშირების სამეურნეო მდგომარეობა.
5. ლენინი. სიტყვები და წერილები პროფმოძრაობაზე.
6. მძლეოსნობის დარგიდან: 1) რბენი, 2) ხტომები, 3) ტყორცნა (მ. პატარიძის მიერ გადმოკეთებ.
7. ინგლისის ტრედ-უნიონების დელეგაცია საქართველოში (რუსულ ენაზე).

დაკვეთა შეიძლება საქ. პროფკავშ. საბჭ. საგამომცემლო ქვეგანყოფ. ოთახი № 14.

პროფ. ორგანიზაციებს წიგნი დაეთმობათ 20—30 პროც.-ით დაკლებით. ნის. 667 4—2

ექიმი

**ა. დ. პეკელია**

სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობა

მიღება: დილის 9—11 საათ. საღამოს 5—8 პლეხანოვის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ. № 3203. 25—18

**დაკარგვე** დამზღვევი კასის წიგნაკი № 1177 ტიტე კვინტრაძის სახელზე გაცემული. ჩაითვალოს გაუქმებულად. 134 1—1

**დაკარგვე** პირადობის მოწმობა მოცემული ქ. ქუთაისის მე-4-ე უბნის კომისარიატიდან, ნინა იაკობის ასული კალანდარაშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 136 1—1

**დაკარგვე** საწევრო წიგნაკი № 437276, მიცემული ა. ქ. რკ. გზ. პრ. კავშირის მიერ ნინა ანდრიას ასული კერესელიძის სახელზე ჩაითვალოს გაუქმებულად. 136 1—1

**დაკარგვე** საპენსიო წიგნაკი, მიღებული ვინიტსკის სოც. უზრუნ. განყოფილებიდან № 1466 რუხნიკოვის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. უ. 133 1—1

## საქართველოს სახელმწიფო ვაჭრობის სააქციო ამხანაგობა

# ბალანსი

### აქტივი. 1924 წ. 1-ლ დეკემბრისათვის. პასივი.

| აქტივი | | |
|---|---|---|
| 1) ნაღდი საშუალებანი | | |
| 1. კასა | 4.709—74 | |
| 2. სახელმწ. ან-შები ბანკებში | 26.375—83 | 31.085—57 |
| 2) ფასიანი ქაღალდები | | 3.940—75 |
| 3) საქონელი | | |
| 1. საწყობში | 157.342—47 | |
| 2. მაღაზიებში | 844.108—93 | |
| 3. საკომისიოთ გაცემული | 24.459—35 | |
| 4. „ მიღებული | 13.671—79 | |
| 5. გირაოს ქვეშ | 184.196—01 | |
| 6. სამნეო ნაწილში | 8.735—06 | |
| 7. შესანახად გაცემული | 102.717—40 | |
| 8. გადასამუშავებლად | 34.931—94 | |
| 9. გზაში | 77.317—15 | 1.447.480—10 |
| 4) მოძრავი ქონება | | 31.464—06 |
| 5) დებიტორები | | |
| 1. სხ. სხ. პირნი და დაწესებ. | 359.013—80 | |
| 2. ანგარიშ ქვეშ მყ. პირნი | 58.851—87 | |
| 3. მიღებული თამასუქები | 39.382—15 | |
| 4. დახურდავებული „ | 307.266—67 | |
| 5. პროტესტქმნილი „ | 828—12 | 765.343—61 |
| 6) განყოფილებები | | |
| 1. მოსკოვის | 708.660—99 | |
| 2. ბაქოსი | 412.252—42 | |
| 3. ქუთაისის | 147.192—70 | |
| 4. სიღნაღის | 180.719—49 | |
| 5. როსტოვის | 1.500—00 | 1.450.325—61 |
| 7) სხ. და სხ. ხარჯები | | |
| 1. მიმდინარე | 222.837—44 | |
| 2. საორგანიზაციო | 16.335—57 | |
| 3. კურსის განსხვავება | 6.992—45 | 246.165—46 |
| | ბალანსი | 3.975.814—16 |

| პასივი | | |
|---|---|---|
| 1) საპაიო კაპიტალი | | 635.170—97 |
| 2) კრედიტორები | | |
| 1. სხ. სხ. პირნი და დაწესებ. | 294 336—48 | |
| 2. კომიტენტები | 13.671—79 | |
| 3. გაცემული თამასუქები | 1.196.063—62 | |
| 4. სპეც. ან—შები ბანკებში | 94.697—54 | |
| 5. ბანკები განაღ. თამასუქ. | 307.266—67 | 1.906.036—10 |
| 3) განყოფილებები | | |
| 1. მოსკოვის | 644.806—02 | |
| 2. ბაქოსი | 310.048—59 | |
| 3. ქუთაისის | 4.277—31 | |
| 4. სიღნაღის | 44.907—36 | 1.004.039—28 |
| 4) გარდამავალი თანხები | | 12.145—42 |
| 5) შემოსავალი | | |
| 1. სხვადასხვა | 63.074—34 | |
| 2. საქონლის გაყიდვისაგან | 355.348—05 | 418.422—39 |
| | ბალანსი | 3.975.814—16 |

გამგეობის თავმჯდომარე ნ. ამირაღოვი.

საფინანსო საანგ. განყოფილების გამგე ქ. ცისკარიძე.

მთავარი ბუხჰალტერი კლ. თალაკვაძე.

ნ. 676 1—1

„ზარია ვოსტოკას“ სტამბა საშა წულუკიძის ქუჩა № 4